პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
ტფ. ს. საბ. მ., გ. წ. არ. და მაზრ.
აღმ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირისა დღისით 2-დან 3 საათამდე

რედაქ. ნომრები რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

ჯერის ნომრიანი ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

დღიური

საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ საბჭოთა დიპლომატიამ პირდაპირ ჩაშალა ლოზ.ნის კონფერენცია.

გერმანიის ნოტამ ანტანტისადმი დიდი [illegible] საფრანგეთში. საფრანგეთის გაზეთები [illegible] რანგეთი არ შეუდგება [illegible]

გერმანიის ფული კიდევ საგრძნობლად დაეცა.

მოსალოდნელია ინგლის-იტალიის კავშირის შეკვრა, რისთვისაც ახლო მომავალში იტალიაში მიემგზავრება ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი კერზონი.

№ 101 კვირა 6 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 101

კოოპერაციის სამკვირეულისათვის

კოოპერაცია

როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, კოოპერაციის დარგში ჩვენ წარმატებით გადავჭერით ერთი მთავარი ამოცანა, რაც შეადგენდა აუცილებელ წინასწარ პირობას შემდეგში ნაყოფიერი კოოპერატიული მშენებლობისათვის. ვლაპარაკობთ კოოპერაციის დაპყრობაზე მუშათა კლასის და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიის მიერ.

თავის თავად ცხადი იყო, რომ სანამ კოოპერატიულ ორგანოებში გაბატონებული იქნებოდნენ ანტისაბჭოთა პარტიები და მშრომელი მასსის მტრები, რომელნიც ცდილობდნენ ამ სფეროშიც საქმის არევ-დარევას და რომელთაც არ სურდათ შეგუება ახალ წყობილებასთან,—ზედმეტი იყო ლაპარაკი რაიმე დადებითი შედეგების მიღწევაზე კოოპერაციაში, მის გამოყენებაზე ხალხის შესაკავშირებლად, მისი ნივთიერი კეთილდღეობის ასაწევად, ქვეყნის მეურნეობის ასაღორძინებლად და საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

ამიტომაც იყო, რომ ჩვენ თავის დროზე გავაჩაღეთ კამპანია კოოპერაციის ორგანოების პირადი შემადგენლობის გაჯანსაღების, მათგან უვარგის და კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების გაძევების და მათ მაგივრად მშრომელ ხალხის და ახალ რეჟიმის ერთგულ პირების არჩევის შესახებ.

ეს კამპანია, როგორც ვთქვით, სრული გამარჯვებით დასრულდა და თითქმის ყველგან მოხდა კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების განახლება.

აქედან იწყება მეორე ხანა კოოპერაციის ცხოვრებაში, პერიოდი დადებითი შემოქმედების.

და ჩვენ ვხედავთ, რომ სიკვდილის კარამდე მისული კოოპერაცია გამოცოცხლების, აღორძინების გზაზე შესდგა. მომხმარებელი მასსა აქტიურად დაინტერესდა მისი ბედით, გაიბა ცხოველი კავშირი კოოპერატიულ ცენტრსა და მის პერიფერიებ შორის, კოოპერაცია შეძლებისდაგვარად აწვდის თავის წევრებს საჭირო საგნებს, აწარმოებს საქონლის გაცვლა გამოცვლას, მოქმედებაში მოყავს წინედ გაჩერებული და დანგრეული წარმოებასი, იწყებს ახლებსაც და სხ.

საჭიროა საქმის შემდეგი გაფართოვება და გაღრმავება.

ერთ-ერთი გარემოება, რომელიც დღემდე ხელს უშლიდა კოოპერატიულ მშენებლობას, იყო კოოპერაციის ორგანიზაციული წყობის შეუფერებლობა ცხოვრების პირობებთან, თვით კოოპერაციის იდეასთან.

არსებობდნენ მრავალი წვრილი სამომხმარებლო დუქნები, რომელნიც თავიანთი მცირე თანხით ვერ ახერხებდნენ მომხმარებელ მასსის მოთხოვნილებათა მაინც დაკმაყოფილებას; სპეკულიაციასთან ბრძოლას; ხშირად თვითონ ეშვებოდნენ ამ სპეკულიაციის ჭაობში; ამასთან აქა იქ მეტოქეობასაც უწევდნენ ერთმანეთს და უფრო აუძლურებდნენ ისედაც მცირე და დაქსაქსულ საშუალებებს და ძალებს. ამას გარდა, კოოპერაციას, ასეთი მისი ორგანიზაციის წყალობით, ყავდა მრავალრიცხოვანი შტატი, რომლის შენახვას უნდებოდა თითქმის მთელი მისი საშუალება.

ძველ კოოპერაციას ჰქონდა მრავალი სხვა ორგანიზაციული რიგის დეფექტები—სუსტი კავშირი კოოპერატიულ ორგანიზაციებ შორის, კოოპერატივის წევრობის არა სავალდებულო ხასიათი, რის გამო მის გარეშე რჩებოდა მშრომელთა დიდ-ძალი მასსა და სხვ.; ერთი დიდი ნაკლი ისიც იყო, რომ კოოპერატივის საქმეებში და მის ხელმძღვანელ ორგანოებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ არა მშრომელ ელემენტებსაც, რომელნიც მათ იყენებდნენ თავიანთი ინტერესებისათვის.

ყველა ამ დეფექტების ასაშორებლად და მშრომელ-სამომხმარებლო კოოპერაციისათვის შესაფერი ორგანიზაციული სტრუქტურის მისაცემად გამოიცა დეკრეტი ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოებების შესახებ.

ისპობა წვრილი სამომხმარებლო ორგანიზაციები და მომხმარებელი მასსები კავშირდებიან ერთიან მძლავრ საზოგადოებებში, რომელთა წევრობას სავალდებულო ხასიათი აქვს ყველა იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც უფლება აქვთ საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების.

ამით ერთიანდება ნივთიერი საშუალებები და საზოგადოებრივი ძალები. ესვე ამარტივებს კოოპერატიულ აპარატს და ამცირებს მის საორგანიზაციო ხარჯებს.

დღეს ჩვენს წინაშე დიდი ამოცანაა გადაშლილი: კოოპერაციის მოწყობა ახალი პრინციპების მიხედვით, მისი ჩამოყალიბება მთლიან მომხმარებელ საზოგადოებებად.

ამისთვის ტარდება ეხლა კოოპერაციის სამკვირეული.

ამ კამპანიის დროს ხალხი გაეცნობა კოოპერაციის ახალ ფორმებს, იგი გამოიწვევს მასში ინტერესს საერთოდ კოოპერაციისადმი და დარაზმავს მას მის გარშემო.

ამ „სამკვირეულის" კარგად ჩატარებას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ. მან ხელი უნდა შეუწყოს ხალხის თვითმოქმედების გაღვიძებას, მის ეკონომიურ შეკავშირებას.

ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რათა ეს კამპანია ფართე მასშტაბით და მომზადებულად ჩატარდეს.

აქეთკენ მოუწოდებთ კოოპერატიულ ხელმძღვანელ ორგანოებს, პარტიულ და სხვა სათანადო ორგანიზაციებს.

სამომხმარებლო კოოპერაცია

რა იქნება იმაზე მოსაწყენი რევოლიუციონერისათვის, რომ იჯდე და ყიდდე ნავთს და საპონს, აწოდებდე კოოპერატივის წევრებს ყოველგვარ საქონელს ხელმისაწვდენ ფასებში და ცდილობდე, რომ წლის ბოლოს ცოტა რამ მოგებაც დარჩეს, რათა ამით გაამხნევო ძველი წევრები და მოიზიდო ახლები.

მოსაწყენი კი არა, აუტანელიც არის ეს ხელობა მეტადრე მაშინ, როდესაც ამით ფიქრობენ ქვეყნის გარდაქმნას, „ზნეობრივ იდეათა ქვეყნის" შექმნას. ფილისტერი ადვილად იჯერებს რომ ცოტ-ცოტაობით, კაპეიკ-კაპეიკობით ღარიბებს შეუძლიან დააგროვონ უთვალავი სიმდიდრე და ეკონომიურათ დასძლიონ კაპიტალი. რევოლიუციონერს კი სხვა გზა აქვს ამორჩეული: ბრძოლა კაპიტალთან, ბრძოლა პოლიტიკურ ნიადაგზე, მისი ძალდატანებით დაპყრობა, კაპიტალის ექსპროპრიაცია.

იყვნენ და არიან კოოპერატორები, რომლებიც ფიქრობენ კოოპერატიული გზით, ნელნელა დაამყარონ სოციალიზმი. ესენი უარყოფენ რევოლიუციას. იყვნენ და არიან რევოლიუციონერები, რომლებიც ემყარებიან კოოპერატიულ მოძრაობას, და ცდილობენ კოოპერაციაც გამოიყენონ მშრომელი ხალხის რევოლიუციონური ბრძოლისათვის დასარაზმავათ. ესენი უარყოფენ კოოპერატიულ სოციალიზმს.

სამომხმარებლო კოოპერაციის კარგი მხარე ის არის, რომ მას აქვს განსაზღვრული ეკონომიური ინტერესები და ამ ნიადაგზე ის თავს უყრის მშრომელ ხალხს; იგი ხდება მუშათა კლასის დამაკავშირებელ ფორმათ.

განვიხილოთ როგორ აღმოცენდა იგი და რა პრინციპები დაედო მას სარჩულათ.

ინგლისს კაპიტალიზმის აკვანს უწოდებენ და სწორეთ აქ წარმოიშვა სამომხმარებლო კოოპერაცია. 1844 წელს ჩრდილო-ინგლისის პატარა ქალაქ როჩდელში 28 უბრალო მუშამ დაარსა კოოპერატივი, რომელსაც სახელათ უწოდა „როჩდელის პატიოსან პიონერების საზოგადოება". თავისი რწმენით ამ მუშების უმრავლესობა ჩარტისტებს ეკუთვნოდა და მაშასადამე ქონდა წარმოდგენა პოლიტიკურ მოძრაობაზე. მაგრამ ჩვენ არ გვაინტერესებს რა იდეალებით ხელმძღვანელობდენ ამ კოოპერატივის დამფუძნებელნი, არამედ რაში გამოიხატა პრაქტიკულათ მათი მოქმედება და რა მიზანს მიაღწიეს სინამდვილეში. ეს საზოგადოება ძლიერ ცხოველმყოფელი აღმოჩნდა და მისაბაძი მაგალითი შეიქნა სხვა მუშებისათვის, რამაც ისტორიული სახელი მოუხვეჭა მას მთელი სამომხმარებლო კოოპერაციის დარგში.

„როჩდელის პრინციპები" დღესაც ათ მცნებათ არის მიჩნეული სამომხმარებლო კოოპერაციაში და უმთავრესი მათგანი შემდეგნაირათ შეიძლება გამოვხატოთ: 1) კოოპერატივის ყოველ წევრს თანასწორი ხმა აქვს; 2) საწევრო თანხა (პაი), რაც შეიძლება მცირე უნდა იყოს, რომ ყოველ მუშას შეეძლოს მისი ნაწილობრივათ გადახდა; 3) საქონელი უნდა იყიდებოდეს ნაღდათ და არა ნისიათ; 4) საქონელი უნდა იყიდებოდეს არა თვითღირებულების ფასათ, არამედ ბაზრის საშუალო ფასების მიხედვით; 5) წლის ბოლოს დარჩენილი მოგება უნდა ნაწილდებოდეს წევრთა შორის არა მათი თანხის მიხედვით, არამედ იმისდა მიხედვით, თუ ვის რამდენი უვაჭრია წლის განმავლობაში.

როგორც ხედავთ, აქ სავსებით ვაჭრობის სფეროსთან გვაქვს საქმე. მომხმარებლები აღარ მიდიან კერძო ვაჭართან, თვით აარსებენ თავის საკუთარ სავაჭროს და თუ აყენებენ მას ისეთ ნიადაგზე, რომ სავსებით უზრუნველყოფილია მისი არსებობა. აქ ადგილი არ აქვს ქველმოქმედებას, ან რაიმე იდეალური სახის მისწრაფებას. ვაჭრობა ვაჭრობაა. ბაზარს თავისი კანონები აქვს და ამას უნდა ერთგვარი შეგუება. თუ წლის ბოლოს აღმოჩნდება, რომ საქმეს არ უზარალნია, შესაძლოა მოგების გაყოფა. თუ გაძლიერდა ასეთი კოოპერატივი, ის თავის რაიონში ზედმეტათ გახდის კერძო ვაჭარს, მას ასპარეზიდან გააძევებს.

ჩვენ არ გამოუდგებით სამომხმარებლო კოოპერატივების გრძელ ისტორიას და მოკლეთ შევეხებით, თუ როგორ დაარსდენ და გამრავლდენ ისინი საქართველოში.

იმპერიალისტურმა ომმა პირველი მძლავრი მუჯლუგუნი მისცა სამომხმარებლო კოოპერატივების პრაქტიკას. 1914 წ მეტადრე 1915 წელს კოოპერატივების დაარსების იდეა მოარულ სენათ გადაიქცა. ამ ნიადაგზე ნამდვილი კლასობრივი ბრძოლა გაჩაღდა სოფლის ღარიბ გლეხობასა და ჩარჩ-ვაჭრებს შორის. მოკლე ხანში საქართველო მოიფინა კოოპერატივების ქსელით. არ დარჩა თითქმის არც ერთი სოფელი, არც ერთი მიყრუებული კუნჭული, სადაც „ხალხის დუქანი" არ დაარსებულიყო. ამ მხრივ დიდ გადაჭარბებასაც კი ქონდა ადგილი: ერთ და იმავე სოფელში ხშირათ ორ და სამ კოოპერატივს აარსებდენ. სტატისტიკური ცნობებით გურიის ერთ რომელიღაც სოფელში შვიდი კოოპერატივი აღმოჩნდა დაარსებული.

მალე იჩინა თავი და სინამდვილეთ იქცა თვით კოოპერატივთა შეკავშირების იდეა. თბილისის კოოპერატივების ინიციატივით დაარსდა ამიერ-კავკასიის კავშირი, რომელმაც იარსება სანამ ამიერ-კავკასია არ დაიყო ცალკე რესპუბლიკებათ. 1919 წ. კი ჩამოყალიბდა სამი კავშირი: აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოსი. უკანასკნელი ცნობილია „ცეკავშირის" სახელწოდებით (ცენტრალური კოოპერატიული კავშირი). 1922 წ. კვლავ მოხდა მათი გამაერთიანებელი კავშირის „ზაკსოიუზის" დაარსება, რომელიც 1923 წელს შეიცვალა „ცენტროსოიუზის" ამიერ-კავკასიის განყოფილებამ. უკანასკნელს ირჩევს ადგილობრივი ნაციონალური კავშირები და ამტკიცებს რუსეთის კავშირი „ცენტროსოიუზი".

საქართველოში ამ ჟამათ დღიურ საკითხათ სდგას სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითადი რეფორმა, ეგრედ წოდებული მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივების („ეპოს") დაარსება.

რას წარმოადგენს „ეპო"?

მ. ტორომელიძე.

კოოპერაციის რეორგანიზაცია საქართველოში

1. საქართველოს კოოპერაცია საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდე.

საქართველოს კოოპერაციას სულ ათი—თხუთმეტი წლის ისტორია აქვს. ამ მოკლე ხნის განმავლობაში კოოპერატიულ მოძრაობამ მრავალი ცვალებადობა განიცადა. ეს იმით აიხსნება, რომ ის ხანა, რომელშიაც საქართველოს კოოპერაციას საძირკველი ჩაეყარა, ერთობ მრავალ ცვალებადი შეიქნა. დაწყებული 1910 წლიდან, როდესაც ფაქტიურად აღმოცენდა პრიმიტიული სახის სამომხმარებლო კოოპერაცია, უკანასკნელი მაშინდვე უჯანსაღო აღმოჩნდა. მას არ ყავდა სათავეში გამოცდილი კოოპერატორები და საწევრო-საპაიო გადასახადი თავისი სიდიდით მიუწდომელი შეიქნა ღარიბი მომხმარებელთათვის. ასეთ პირობებში არსებული კოოპერატივები გაჭირვებით ფარავდენ თავიანთ ხარჯებს. ეს ხანა საქართველოს კოოპერაციის პირველ კრიზისათ ჩაითვლება. 1914 წელში დაწყებული იმპერიალისტური ომის დროს, როდესაც ბაზარს საქონელი შემოაკლდა და მომხმარებელნი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდენ, კოოპერაციას მოაწყდა ღარიბი გლეხობა და ამ შემთხვევამ სწრაფათ მოჰფინა კოოპერატივები საქართველოს მთელ ტერიტორიაზედ. მაშინდელი კოოპერატივების დანიშნულებას შეადგენდა შაქრის, ნავთის, მარილის და პირველსაჭიროებითი სურსათ-სანოვაგის მიწოდება მომხმარებლისათვის. იყო დრო, როდესაც კოოპერატივებმა ამ პერიოდში ცოტა ფეხი წამოიდგეს: მაგრამ ეს ძლიერ ცოტა ხნით გაგრძელდა: ფულის კურსის სასწრაფოთ დაცემას ვერ ექნა ალღო აღებული და ამან გამოიწვია კოოპერატივების თანდათანობითი გაკოტრება. ამ პერიოდში კოოპერაციამ თავი მოუყარა „ზაკსოიუზის" ირგვლივ, ეხლანდელ ცეკავშირში.

ახალი მუშაობის პერიოდი იწყება რევოლიუციის შემდეგ და კერძოთ მენშევიკების ძალა-უფლების დამკვიდრებისას საქართველოში. პირველ ხანებში სანამ მათ მოეპოებოდათ საქონელი, აწვდიდენ კოოპერატივებს, მაგრამ ესეც მალე გამოელიათ, სათანადო ხელმძღვანელობაც ვერ გაუწიეს, ასე რომ საქართველოს კოოპერაციიდან საბჭოთა ხელისუფლებას დახვდა მხოლოდ „рожки да ножки". მენშევიკების საქართველოში ბატონობის დროს კოოპერაციას არავითარი რეალური დახმარება არ აღმოუჩენია მომხმარებელთათვის. აგრეთვე სრულიად არ გაუტარებია წმინდა კოოპერაციის იდეა და დანიშნულება. ასეთი მოდუნებული და მივიწყებული იყო კოოპერაციის საქმე საქართველოში, როდესაც მას სათავეში მუშურ-გლეხური მთავრობა ჩაუდგა.

2. საქართველოს კოოპერაციის გამოცოცხლება საბჭოთა ხელისუფლების დროს.

კოოპერაციის სათანადო დონეზედ დასაყენებლად საჭირო იყო ძლიერ მძიმე და დიდი მუშაობის ჩატარება. მაზრები სრულიად მოწყვეტილი იყო ცენტრზედ (ბევრ ადგილას მივიწყებულიც იყო ცეკავშირის არსებობა); ორი მესამედი კოოპერატივებისა დახურული უხელმძღვანელობით და უსახსრობით. ასეთი იყო სურათი კოოპერაციისა მაშინ, როდესაც მის ხელახლად აშენებას შეუდგა საბჭოთა ხელისუფლება. აქედან კოოპერაციის მშენებლობა თითქმის თავიდან იწყება. ჯერ საჭირო იყო ცენტრის, ცეკავშირის გაჯანსაღება-გაცოცხლება და მომუშავე აპარატათ გარდაქმნა. ახალმა გამგეობამ ენერგიულად მოკიდა ხელი მუშაობას და ცეკავშირს მალე დაეტყო გაცოცხლება. ცეკავშირი ამოძრავდა, გაჩაღდა ცოცხალი მუშაობა. პერიფერიებიც შეირხენ, გაიგეს, რომ ცენტრი ამუშავდა და იქაც დაიმედებულნი ამოძრავდენ. სულ ერთი თვის განმავლობაში ცეკავშირი სრულიად გამოიცვალა, დაიწყო ნორმალური მუშაობა ყველა დარგებში. მთავრობის მატერიალური დახმარებით სავაჭრო დარგმა შეისყიდა საქონელი რუსეთის ბაზარზე და მიაწოდა პერიფერიებს, ამან სავსებით გააცოცხლა მაზრები, დაეტყოთ კოოპერატივებს სიცოცხლის ნიშანწყალი. რუსეთში იგზავნება ადგილობრივი ნედლეულობა მთელი მარშრუტებით და იქიდან სამაგიეროდ იგზავნება მანუფაქტურა და სხვა დამზადებული საქონელი. გაჩაღდა მუშაობა საწარმოო დარგშიც, ამუშავდა გორის საკონსერვო ქარხანა, ტფილისში გაიხსნა აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, დალაგდა მუშაობა სტამბაში, იხსნება ხილის სახმობი ქარხანა ქუთაისში და სხვა მრავალი. ყველაზედ მეტი საძნელო მუშაობის ჩატარება კოოპერაციის გამოცოცხლებაში და გაჯანსაღებაში ხვდება ცეკავშირის არა სავაჭრო, ანუ საორგანიზაციო დარგს. საორგანიზაციო დარგი განაგებს კოოპერაციის როგორც საორგანიზაციო, ისე კულტურულ და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობაში იდეურ მუშაობას. (სასოფლო სამეურნეო კოოპერაციაზედ ცალკე ვილაპარაკებთ). კოოპერაციის ყოველ რეფორმას ეს დარგი ადგილობრივათ ატარებს ინსტრუქტორთა კოლეგიის საშუალებით, რომელნიც ოთხი თვის მეცადინეობით საკმაოთ მოემზადენ. ინსტრუქტორები მოეფინენ საქართველოს ყველა კუთხეებს და იქ აწარმოებენ შემდეგ მუშაობას: აკეთებენ მუშაობას, აძლევენ დირექტივებს, უხსნიან მარტივად დეკრეტს და ცენტრის განკარგულებებს, აწყობენ ანგარიშის წარმოებას, აწყობენ მოკლე ვადიან კურსებს ადგილობრივი მომუშავეთათვის და სხვა. თანამედროვე მომენტში საორგანიზაციო დარგმა უნდა ჩაატაროს დიდი მუშაობა კოოპერაციის რეორგანიზაციის სფეროში. არსებული კოოპერატივების „ეპო"-ებათ მთლიანი მომხმარებელთა კოოპერატივებათ გარდაქმნა,—აი დღიური ამოცანა საორგანიზაციო დარგისა.

3) „ეპო"-ს ორგანიზაცია.

ვინაიდან ძველი სახის კოოპერაცია ვერავითარ დახმარებას ვერ უწევდა ღარიბ გლეხობას და მთელ მომხმარებელთ, მუშურ გლეხურ მთავრობამ, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს კოოპერაციაშიც, შემოიღო ახალი ფორმა კოოპერაციის მშენებლობისა—ძველი კოოპერატივების მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივებათ „ეპო"-ებათ შეცვლით. რა განსხვავებაა ძველი კოოპერატივებსა და „ეპო"-ს შორის? განსხვავება შემდეგშია: ა) კოოპერაციის ახალი კანონი „ეპო"-ს სამოქმედო ფარგლებში მყოფ მცხოვრებთ სთვლის ვალდებულად იყვნენ მხოლოდ თავიანთ რაიონის „ეპო"-ს წევრად და უფლება არ ეძლევათ შევიდენ წევრად სხვა „ეპო"-ში. წევრობა კი ყველასათვის სავალდებულოა მაშინ, როდესაც წინანდელი სახის კოოპერატივი არ საზღვრავდა მომხმარებლის სურვილებს, რაც იწვევდა ერთი მომხმარებლის რამდენიმე კოოპერატივის წევრათ ჩაწერას ამით სარგებლობდენ ბაცაცა ვაჭრები და რამდენიმე კოოპერატივში ეწერებოდენ წევრად, რომ იაფათ ეყიდათ საქონელი და თავიანთ მაღაზიებში გაეყიდათ. აშკარაა, რომ ასეთი ფორმა კოოპერაციისა იწვევდა არევ-დარევას კოოპერაციაში, ბ) მეორე განსხვავება იმაშია, რომ „ეპო"-ს სამოქმედო ასპარეზი გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ყოფილი რაიონული კავშირების, და „ეპო", როგორც იურიდიული ორგანო, თავისი საზღვრებში ადვილათ მიწვდება და ხელმძღვანელობას გაუწევს თავისი განყოფილებებს, ვიდრე რაიონული კავშირები, რომელნიც სამოქმედო ასპარეზის სიდიდის გამო ამ დანიშნულებას ვერ ასრულებდენ. „ეპო" იმისათვისაა კარგი, რომ ის სწრაფმოძრავი და ცოცხალი აპარატია, „ეპო"-ს სარევიზიო კომისიას შეუძლია ხშირათ მოახდინოს განყოფილებების დათვალიერება, რაც აცხოველებს მუშაობას.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამ რეფორმის გასატარებლათ დიდი მუშაობის ჩატარება დაეკისრება ცეკავშირის საორგანიზაციო დარგს. მაგრამ ამისათვის ყველაფერი მზათ არის: ა) შემუშავებულია ინსტრუქციები, ბ) დამზადებულია წესდება, გ) დამტკიცებულია მთელი საქართველოს „ეპო"-ების ქსელი, დ) მომზადებულია ინსტრუქტორები ყოველმხრივ, რომელნიც ამ დღეებში შეუდგებიან მუშაობის ჩატარებას დასავლეთ საქართველოში, დიდი ენერგია და ცოდნის გამოჩენა დასჭირდებათ ინსტრუქტორებს ამ რეფორმის ჩასატარებლათ, ყველა გადადგმული ნაბიჯი სავსებით უნდა ეთანხმებოდეს „ეპო"-ს წესდებას და არასოდეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს კოოპერატიული ეთიკა. ახლად არჩეული „ეპო"-ები გამოცდილი და შრომის მოყვარე კოოპერატორებისაგან მოგვცემს იმედს, რომ ახალი რეფორმა გააჯანსაღებს კოოპერაციას და დაუახლოვებს მას მომხმარებელთ. „ეპო" უნდა შეიქნეს ღარიბი მომხმარებელთა რეალურად დამხმარე ორგანო, რომელიც ალაგმავს მომხმარებელთა მყვლეფელ კერძო ბაცაცებს.

ვლ. ცაგარელი.

კოოპერატიული კამპანია და პრაქტიკული საქმიანობა

კოოპერატიული კამპანია უკვე დაიწყო. მის გარშემო ამოძრავდა პარტიული, პროფესიონალური და კოოპერატიული იაჩეიკები. ეს პირველი ნაბიჯია საქართველოს კოოპერაციის განვითარების ისტორიაში, როდესაც მის გაჯანსაღებას, მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას და წინმსვლელობას უწყობს ხელს და პრაქტიკულათ ანხორციელებს საკუთარი ინიციატივის საშუალებით ფართო მშრომელთა მასები. კოოპერატიული კამპანიის სამკვირეულის სწორი გამომუშავებული გეგმით ჩატარებამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი მოშლილი მსხვილი და წვრილი კოოპერატიული ორგანოების გამაგრებას, განმტკიცებას, გაჯანსაღებას, ფართო სამოქმედო ასპარეზზე მათ გამოყვანას.

კოოპერაციის წინაშე დღეს მრავალი საკითხებია, რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მისი შემდეგი განვითარება. მრავალფეროვანია და მრავალგვარია ეს საკითხები შინაარსითაც და მიზნითაც. ერთნი მოითხოვენ გადაწყვეტას დღესვე, მეორენი კი ახლო მომავალში. აი ამ მრავალგვარ საკითხების გადაწყვეტა უნდა შეადგენდეს კოოპერატიული კამპანიის ამოცანას.

როგორია ეს საკითხები, როგორ მიუდგეთ მათ, როგორ განვახორციელოთ გამომუშავებული გეგმები, საიდან დავიწყოთ და როგორ გავათავოთ? ასეთია კითხვები, რომელიც აუცილებლად წამოიჭრება პროვინციაში მომუშავე ამხანაგების წინაშე და სოფელი ხომ საძირკველია მთელი კოოპერაციისა.

პირველი კითხვა, რომლის გადაჭრა დაყოვნებას არ მოითხოვს და რომლის შორეულ მომავალისათვის გადადება დიდ ზიანს მოუტანს კოოპერაციას და მის განვითარების საქმეს საერთოდ არის: კოოპერაციის ავტორიტეტის ამაღლება, მისი პრესტიჟის სასურველ დონეზე აყვანა და საერთოდ კი პოპულიარიზაცია საბჭოთა კოოპერაციის იდეისა ფართო მშრომელ მასებში, გაერთიანება ამ მასებისა კოოპერაციაში, ახალ ძალების შემატება.

როგორაა ამ მხრივ მდგომარეობა. ძლიერ ცუდათ.

ფართო მუშათა და გლეხთა მასები კოოპერაციით ვერ სარგებლობენ იმიტომ, რომ მას ვერ მოუპოვებია საკმაო ავტორიტეტი. ფართო მასას ვერ მოუხერხებია წარმოიდგინოს რაიმე განსხვავებით საბჭოთა კოოპერაცია ძველი კოოპერაციისაგან, კამპანიის დამკვრელ ამოცანას ამ ნაკლის შევსება შეადგენს.

პროვინციაში მომუშავე ამხანაგები უნდა გამოვიდნენ ფართო მასაში, მოაწყონ საუბრები ლექციები, მოხსენებები. თვითეულმა ჩვენმა გამოსვლამ ფართო მასაში იმოდენა ნაყოფი უნდა გამოიღოს, რომ კოოპერაციის მიზნები, მისი მისწრაფება, შინაარსი და მშენებლობა, მთელი მისი მუშაობა ყველასათვის ნათელი გახდეს.

ფართო მასის მონაწილეობით, მათი ამოძრავებით ჩვენ უნდა შევძლოთ, რათა იდეა საბჭოთა კოოპერაციისა ყველასათვის გასაგები გავხადოთ და იდეათა პოპულიარიზაციამ კი მოგვცეს: გადიდება, გაზრდა, ახალ ძალთა შემატება, ფართო მასის დაპყრობა ჩვენი დროშის ქვეშ. ჩვენი სოფლის იაჩეიკები საფუძველი და საძირკველია, რომელზედაც შენდება საბჭოთა კოოპერაცია და ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ამ კამპანიის გატარება იაჩეიკებიდან უნდა დავიწყოთ.

მეორე კითხვა, რომელმაც ამ კამპანიაში უნდა ჰპოვოს პრაქტიკული გარკვევა რომელიც ოპერაციებმა, სავაჭრო ხელშეკრულებებმა, საერთოთ ვაჭრობამ დაჩრდილა და მივიწყებულია—ეს არის სისტემატიური კულტურული მუშაობის გაფართოვების კითხვა, რაც დღეს თითქმის სრულებით არ სწარმოებს.

კავშირებს და სოფლის ძირითად იაჩეიკებს ანუ კოოპერატივებს არ მოეპოვებათ საკითხველო, ჟურნალი, გაზეთები, ლიტერატურა და წევრთა შორის არავითარ კულტურულ მუშაობას არ აწარმოებენ, არ გვაქვს კლუბები, კოოპერატიული კურსები და სხვ. ყოველივე ამით აიხსნება ნაკლულევანება და სიმცირე გამოცდილ მუშაკების, რომელსაც დღეს ასე ვგრძნობთ. თავის მხრივ შესუსტება კულტურულ მუშაობისა შედეგია გამოცდილ მუშაკთა რიცხვის შემცირებისა. კულტურული მუშაობა ვაჭრული პოლიტიკისაგან უნდა გამოვყოთ. კავშირებმა, თუ დღევანდლამდე ეს ვერ მოახერხა, დღეის შემდეგ მაინც უნდა იქონიონ რაიონის კარგად მოწყობილი სამკითხველოები რომლებიც მოამარაგებენ სოფლის იაჩეიკებს. აგრეთვე საჭირო არის კულტურულ-განმანათლებელ ჯგუფების დაარსება ახალი ძალების აღსაზრდით. ჯგუფებში უნდა საწარმოებდეს სისტემატიური მეცადინეობა, ლექციები, რეფერატები და სხვა, რათა ასეთი ჯგუფების არსებობამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს.

მესამე კითხვა შეეხება საინსტრუქტორო მუშაობის გამოცოცხლებას.

საინსტრუქტორო მუშაობა — ეს ტვინია კოოპერაციის და თუ ეს მუშაობა სუსტათ მიმდინარეობს, მაშინ ნელდება თვით ტემპი კოოპერაციის განვითარების.

მეოთხე კითხვა არის ანგარიშების მოგვარება ძირითად იაჩეიკებში. ეს საქმე დღეს აწეწილ-დაწეწილი არის. ანგარიშიანობა ეს მთავარი საქმეა და ამას აუცილებლათ უნდა მიექცეს ყურადღება.

აი კითხვები, რომლებსაც უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება პროვინციაში მომუშავე ამხანაგებმა.

მოსე ცინცაძე

ეკონომიური კრიზისი და კოოპერაცია

საკოოპერაციო მუშაობა შეადგენს ორგანიულ ნაწილს ქვეყნის ეკონომიური მშენებლობისას. ეს უდავოა. კოოპერაციის მთელი საქმიანობა ამას მოწმობს.

დღეს, როდესაც საერთო არევ-დარევამ, საარსებო პირველ და აუცილებელ საგნების საზღაპრო გაძვირებამ, ამით მუშათა კლასისათვის შექმნილმა აუტანელმა მდგომარეობამ კოოპერაციას მიანიჭა ისტორიული როლი, როდესაც ის რეალურათ უნდა ემსახუროს მუშათა კლასის ინტერესებს და იყოს ერთ შტოთაგანი საერთო მუშათა მოძრაობის, ამ დროს მისი გამოყოფა ამ მოძრაობიდან აბსურდია. დღევანდელ პირობებში კოოპერაცია ხელს უნდა უწყობდეს ევროპაში, სადაც ჯერ კიდევ ბატონობს ბურჟუაზიული ხელისუფლება, მუშათა კლასის ეკონომიურ პირობების გაუმჯობესობას, ბინის საკითხის მოგვარებას, გაფიცვებს, აჯანყებებს კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ. აქ კი საბჭოთა ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასმა მოსპო კაპიტალისტების ბატონობა და თვით არის სახელმწიფოს ბატონ-პატრონი, კოოპერაციის მიზანს უნდა შეადგინდეს დაცემულ ეკონომიკის აღდგენა. ამ მიზნისთვის კოოპერაცია უნდა იქცეს იმ მომქმედ ორგანიზაციად, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს მუშათა მასების შეკავშირება.

ახალ გზათა ძებნის პროცესი ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებულად უნდა იქნას აღიარებული, განსაკუთრებით დღეს, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოების ეკონომიკის დაცემაზე, მის ფინანსიურ კითხვებზე ლაპარაკობს ყველა.

მუშათა კლასის მომარაგება სურსათით, საბინაო საკითხის მოგვარება, ჯანმრთელობის დაცვის სწორ ნიადაგზე დაყენება, რაციონალურად განაწილება რესურსებისა, რომელიც ჩვენს განკარგულებაში არის—აი რა კითხვების გადაჭრასთან აქვს საქმე კოოპერაციას.

მაგრამ როგორ მიუდგეთ პრაქტიკულად, რა საშუალებები გამოვნახოთ, როგორი გზა ავირჩიოთ, რომ კოოპერაციამ ყოველივე ეს შესძლოს.

პირველს საშუალებათ უნდა ჩაითვალოს კავშირის აღდგენა ქალაქსა და სოფელს შორის, სწორ ნიადაგზე დაყენება საქონლის გაცვლა გამოცვლისა. როდესაც პროვინციას მივაწვდით მანუფაქტურას, მარილს, ნავთს და სხვა პირველ საჭიროების საგნებს და იქიდან მივიღებთ არა ფულს, არამედ სოფლის ნაწარმოებს. ახალ სამოქმედო ნიადაგზე კოოპერაციას ეხმარება არსებული ხელისუფლება, მუშათა პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციები. საჭიროა სამეურნეო ფრონტზე შეკავშირება, ორგანიზაციულად დარაზმვა უღარიბესი გლეხობის, მათი გონების ამოძრავება, კოლექტიური ენერგიის რაციონალურად განაწილება, რათა ბრძოლა მეურნეობის ასაღორძინებლათ გამარჯვებით დამთავრდეს.

გარეშე ამ კავშირისა კოოპერაციის არსებობა ფიქციაა.

მეორე საშვალება არის გლეხობის დაკავშირება ქალაქის პროლეტარიატის ორგანიზაციასთან. მიწოდება გლეხობისათვის პირველი და უსაჭიროესი საგნებისა ხელმისაწვდომ ფასებში, გაერთიანება ერთ სალაროში წვრილი თანხებისა, რომელიც დღეს იმყოფება სოფლის კოოპერატიული იაჩეიკების განკარგულებაში, დიდ საშუალებას მოგვცემს შევქმნათ საგრძნობი თანხა, მოვსპოთ სეპერატიული გამოსვლა ცალკე იაჩეიკებისა.

დარაზმული სწორი გამომუშავებული გეგმით გამოვიდეთ ბაზარზე სპეკულიანტების წინააღმდეგ. ცენტრი, რაიონები და ძირითადი კოოპერატივები უნდა გაერთიანდენ, გამოიმუშაონ ერთი სამეურნეო, ეკონომიური, ფინანსიური და სავაჭრო ოპერაციის გეგმა როგორც საზღვარ-გარეთის ბაზრის, ისე შინაურისათვის. ამ მუშაობის დროს საჭიროა სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომელიც იგივე მიზნებს ისახავენ, ძალთა კოორდინაცია, დარაზმული გამოსვლა.

აი როგორ შეგვიძლია ჩვენ დავამარცხოთ ეკონომიური კრიზისი, მაგრამ, სანამ ყოველივე ამას გავაკეთებდეთ, საჭიროა გაფართოვება იდეური მუშაობისა პროპაგანდა-აგიტაციის წარმოებით, კოოპერაციის ავტორიტეტის ამაღლება ფართო მუშათა მასებში.

ც. გ.

რადიო-დეპეშები

ლოზანას კონფერენცია

არევ-დარევა

პარიზი. 3 მაისი. საფრანგ. გაზეთების კომენტარიები გენერალ პელლეს ლოზანაში დაბრუნების, ვოროვსკის გამოსვლის და აგრეთვე საფრანგეთის დამხმარე ძალების სირიაში გაგზავნის შესახებ, აღნიშნავენ იმ არევ-დარევას, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრში მეფობს.

ნაძალადევი უარყოფა.

პარიზი, 3 მაისი, საფრანგეთის გაზეთი „ტან"-ი წერილში, რომელიც საფრანგეთის საგარეო სამინისტროს გავლენითაა დაწერილი, უარყოფს სირიაში საფრანგეთის ორ დივიზიის გაგზავნის ცნობას.

გეგმები აერიათ.

პარიზი. 3 მაისი. გაზეთი „ჟურნალ დე დება" აღნიშნავს, რომ **საბჭოთა მთავრობამ არალოვის და ვოროვსკის საშუალებით სრულებით არია მოკავშირეების გეგმები.**

ოსმალეთის პოზიცია ლოზანას კონფერენციაზე

პარიზი. 5 მაისი. გუშინ დილით ლოზანას კონფერენცია იხილავდა ოსმალეთის მართლმსაჯულების „გარდამავალ პერიოდს" კაპიტულიაციების რეჟიმის გაუქმების გამო. ინგლისის დელეგატმა წაიკითხა მოკავშირეების ფორმულა, რომლის მიხედვითაც ოსმალეთი ვალდებულია იყოლიოს ოთხი მრჩეველი-იურისტი ნეიტრალურ ეროვნებიდან. ამ მრჩევლებს ოსმალეთის მთავრობა ირჩევს იმ სიიდან, რომელსაც ადგენს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი. ამის შესახებ ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალეთი უარყოფს ჯერ თვით „გარდამავალი პერიოდის" პრინციპს. ამიტომ ოსმალეთის დელეგაცია უარს ამბობს როგორც ამ ფორმულის მიღებაზე, ისე მის იურიდიულ კომისიაში გადაცემაზე. ამის საპასუხოთ ინგლისის დელეგატმა რუმბოლდმა შემოიტანა წინადადება ამ ფორმების განხილვის გადადების შესახებ. კონფერენცია შეუდგა საზავო ხელშეკრულების ამნისტიის შესახებ მუხლის განხილვას.

კონფერენცია თითქმის იშლება.

ლონდონი. 5 მაისი. პარასკევს ლოზანას კონფერენციის სხდომაზე **ისმეტ-ფაშამ კაპიტალისტების და ოსმალეთში უცხოელებისათვის პრივილეგიების შესახებ დაიკავა შეურიგებელი პოზიცია და უარი განაცხადა ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.** თუმცა შესაძლოა უთანხმოება ოსმალებისა და მოკავშირეებს შორის დაძლეული იქნეს, მაგრამ ისმეტ-ფაშას პოზიციამ მძიმე მდგომარეობა შექმნა, კონფერენცია თითქმის იშლება. სხდომა უშედეგოთ დაიხურა.

გერმანია და ანტანტა

გერმანიის მთავრობის ნოტა

ბერლინი, 3 მაისი. გერმანიის მთავრობის ნოტა წინადადებებით, მოკავშირეებისადმი გადაცემამდე, შევსებული იყო სოციალ-დემოკრატების მიერ შეტანილი შესწორებებით. ნოტაში ნათქვამია, რომ მიუხედავად გერმანიის მრეწველობის შემცირებისა, რომელიც გამოწვეულია რურის ოკუპაციის გამო, გერმანიის მთავრობა თანახმაა გადაიხადოს კონტრიბუციის სახით 30 მილიარდი მარკა ოქროთი. აქედან გერმანიას იმედი აქვს რომ 20 მილიარდს მიიღებს დაუყონებლივ საერთაშორისო სესხის საშუალებით, დანარჩენი 10 დაფარული იქნება ორი შემდეგი საერთაშორისო სესხის საშუალებით—ერთის ხუთი წლის მეორესი 8 წლის შემდეგ.

წინასწარ ამ სესხების საერთო ჯამიდან გამორიცხული უნდა იქნეს პროცენტები და საამორტიზაციო გადასახადი. ყველა სესხები უზრუნველყოფილი იქნება გერმანიის სახელმწიფო მეურნეობით. ხოლო თუ უკანასკნელ ორ სესხს გერმანია ვერ მიიღებს, მაშინ საერთაშორისო არბიტრაჟმა უნდა გამოარკვიოს გერმანიის გადახდის უნარიანობის ციფრი. საფრანგეთის მშვიდობიანობის გარანტიებისათვის, ნოტაში აღნიშნულია ხელშეკრულების დადება, რომლითაც ყველა სადავო საკითხები უნდა გადასჭრას საერთაშორისო არბიტრაჟმა.

შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ თუ ანტანტა არ მიიღებს აღნიშნულ წინადადებებს, გერმანია საჭიროდ სცნობს მიმართოს საერთაშორისო არბიტრაჟს, რათა საკითხი გერმანიის კონტრიბუციის შესახებ გადაჭრილი იქნეს ან ბანკირების საერთაშორისო კომისიაში, ან ნეიტრალურ ექსპერტების კომისიაში, ან დასასრულ, ისეთ კომისიაში, რომელშიაც შევლენ ერთი წარმომადგენელი საკონტრიბუციო კომისიიდან, ერთი წარმომადგენელი გერმანიის მთავრობიდან და ერთი წარმომადგენელიც, რომელსაც დანიშნავს შვეიცარიის პრეზიდენტი.

მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დაედოს: 1) ახლო მომავალში „სტატუს ქვო"-ს აღდგენა, რომელიც დარღვეულია გერმანიის ტერიტორიის დაკავების გამო, 2) განთავისუფლება ყველა დაპატიმრებულ გერმანელების და 3) გადმოსახლებულ გერმანელ მოხელეების დაბრუნება.

„ტანი" გერმანიის ნოტის შესახებ

პარიზი, 3 მაისი. უკეთებს რა კომენტარიებს გერმანიის წინადადებებს, რომლებიც მოთავსებულია გერმანიის მთავრობის უკანასკნელ ნოტაში, „ტანი" აღნიშნავს: „ამბობს რა უარს პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტაზე, გერმანიის მთავრობა ამტკიცებს, რომ ის მიისწრაფვის ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ და არა დამორჩილებისა და შეთანხმებისაკენ. მოითხოვს რა რურის დაუყონებლივ ევაკუაციას, გერმანიის მთავრობა უარყოფს საფრანგეთის მთავრობის ერთ ერთ უმთავრეს პირობას. რური არ იქნება განთავისუფლებული გერმანიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ტფილისის მუშათა გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი

1. პრეზიდიუმის მოხსენება აღმასკომის მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
2. 1923 წ. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
3. „კომზაგ.ს“-ის მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ.
4. მიმდინარე კითხვები.

ვინაიდან განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, ამიტომ სხდომაზე დასწრება ყველა საბჭოს წევრთათვის სავალდებულოა.

იმ წევრთა შესახებ, რომელნიც არ გამოცხადდებიან სხდომაზე საბჭოს ცალკე ექნება მსჯელობა.

1—1 **პრეზიდიუმი.**

მიერ კონტრიბუციის გადახდამდე. მოითხოვს რა კოლოსალურ შეღავათს კონტრიბუციაში და საკონტრიბუციო გადასახადის წესების შეცვლას, გერმანიის მთავრობას იერიში მიაქვს, საფრანგეთის პოლიტიკის ძირითად პრინციპებზე, რომელიც ჩამოაყალიბა პუანკარემ მოკავშირეთა კონფერენციაზე დეკემბერში და იანვარში.

გერმანიის წინადადება

ბერლინი, 30 აპრილი. გერმანიის ნოტა, რომელიც შეიცავს ახალ სარეპარაციო წინადადებებს, გადაეცემა 2 მაისს ყველა მთავრობებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებაზე.

იუსტიციის მინისტრმა გეინცემ ვრცელ სიტყვაში აღნიშნა, რომ გერმანიამ თავის მხრივ წარადგინა ყველა წინადადებები, რომელიც კი შეეძლო მას, მაგრამ საფრანგეთი ალბად ამ წინადადებებითაც არ დაკმაყოფილდება. გეინცემ მიუთითა აგრეთვე კუნოს მთავრობის ჩამოგდების საფრთხეზე, ვინაიდან მისი მემკვიდრე შეიძლება იქნეს ისეთი მთავრობა, რომელიც შედგენილი იქნება უკიდურეს მემარცხენე ელემენტებისაგან.

საფრანგეთის პრესა გერმანიის წინადადების შესახებ

პარიზი, 2 მაისი. მთავრობის მიერ აგულიანებული საფრანგეთის პრესა კატეგორიულად უარჰყოფს გერმანიის ახალ სარეპარაციო წინადადებას. „პტი-პარიზიენ“-ი გერმანიის წინადადებას დაცინვას უწოდებს. „ტან“-ი აცხადებს, რომ გერმანიის წინადადებას მიზნათ აქვს ინგლისის და იტალიის შუამავლობა და ამერიკის დასტური, რათა აიძულონ საფრანგეთი დაცალოს რურის ოლქი, რეპარაციის გადაუხდევნელად.

ბელგიის პრესა ნოტის შესახებ.

პარიზი. 4 მაისი. ბელგიის პრესამ სიამოვნებით ვერ მიიღო გერმანიის ნოტა. „ტანი“ იტყობინება, რომ ბოლოს და ბოლოს ბრიუსელში ფიქრობენ, რომ საუკეთესო პასუხი გერმანიის ნოტაზე იქნება საფრანგეთ-ბელგიის ოპერაციების გაგრძელება რურში.

გერმანიის ნოტა.

ბერლინი. 2 მაისი. გერმანიის ნოტა რეპარაციების შესახებ დღეს გადაეცა ამერიკას და ყველა იმ მთავრობებს, რომლებმაც ვერსალის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. **ნოტა ხაზს უსვამს გერმანიის მთავრობის სურვილს დაჩქარებით მოუღოს ბოლო რურში გამწვავებულ მდგომარეობას. ნოტა აღნიშნავს, რომ მანამდი, სანამ მოკავშირეები არ დასცლიან დაკავებულ ტერიტორიას, რომელთა ოკუპაცია ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას, პასიური წინააღმდეგობა რურში გაგრძელდება.** ნოტაში აგრეთვე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მძიმე ფინანსიური და ეკონომიური კრიზისის გამო, შეუძლებელია ახლა სწორ და საბოლოო ციფრებში გამოიხატოს გერმანიის გადახდის უნარიანობა. გერმანიის მთავრობა რეპარაციების ჯამს გამოხატავს შემდეგ ციფრში—30 მილიარდი ოქროს მარკა. ეს ჯამი უნდა დაიფაროს საერთაშორისო სესხით. ამაზე მეტის გადახდა გერმანიას არ შეუძლია.

თუ მოკავშირეები არ გაიზიარებენ გერმანიის აზრს ამ საკითხის შესახებ, გერმანიის მთავრობა მზად არის დაეთანხმოს იუზის წინადადებას რეპარაციების საკითხის ექსპერტების საერთაშორისო კომისიაში განსახილველად გადაცემის შესახებ.

შემდეგ ნოტა წინადადებას იძლევა საფრანგეთ-გერმანიის ყველა კონფლიქტები გადაჭრას საერთაშორისო გზით და აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობა მოლაპარაკების დაწყების აუცილებელ პირობათ სთვლის რურის ოლქის ევაკუაციას, დატუსაღებულთა განთავისუფლებას, საფრანგეთის ადმინისტრაციის მიერ კონფისკაციის საშუალებით დაჭერილ შენობების და აგრეთვე გადასახლებულთა დაბრუნებას.

გერმანიის პრესა ნოტის შესახებ.

ბერლინი. 2 მაისი. გერმანიის პრესა თანაგრძნობით შეხვდა მთავრობის ნოტას, მაგრამ ეჭვობს, რომ მისი წინადადებები მიიღოს მოკავშირეებმა. იმ დროს, როცა „ფორვერტსის“ აზრით 30 მილიარდი მინიმალური ჯამია, ბურჟუაზია მას მაქსიმალურად აღიარებს. მემარჯვენე პრესა სასტიკად აკრიტიკებს ნოტას და მთავრობის მიერ გაკეთებულ დათმობებს მეტად დიდად აღიარებს.

„როტე ფანეს“ აზრით გერმანიის ახალი წინადადებები არის დათმობა ლუშერისათვის. **გერმანიის ნოტა,** სწერს გაზეთი, **არის საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის გამარჯვება, რომელიც გერმანიის მძიმე მრეწველობის დახმარებით, უკანასკნელ სისხლს წუწნის რურის მუშებს. „დადგა დრო, როცა საჭიროა არა სიტყვით, არამედ საქმით გამოსვლა მუშების საერთაშორისო ექსპლოატაციის წინააღმდეგ.**

ნოტა და მარკა.

ბერლინი. 2 მაისი. გერმანიის ახალი წინადადებების გამო, მარკის კურსი კვლავ დაეცა.

„ტან“-ის აზრი.

პარიზი. 2 მაისი. ფრანგული გაზეთი „ტან“-ი გერმანიის ნოტას შესახებ სწერს: „მოითხოვს რა რურის ოლქის ევაკუაციას პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტამდი, გერმანიის მთავრობა ამით უარჰყოფს ერთ-ერთ უმთავრეს პირობას, რომლის წამოყენების უფლება ქონდა მას იმის შემდეგ, როცა მას ატყუებდენ მთელი რიგი წლების განმავლობაში. რური არ იქნება განთავისუფლებული, სანამ არ გადაიხდიან რეპარაციებს“.

კუნოს გამოსვლა.

ბერლინი. 4 მაისი. გერმანიის რესპუბლიკების პრემიერების და პრეზიდენტების კრებაზე კუნომ სიტყვაში გერმანიის ნოტის შესახებ აღნიშნა, რომ ნოტის მიღება ნიშნავს მტრობის პოლიტიკის შეწყვეტას, არ მიღება კი მდგომარეობის უფრო გამწვავებას, რაც ახალ საფრთხეს ქმნის ევროპისა და მთელი მსოფლიოსათვის.

ფორვერტსის აზრი.

ბერლინი. 4 მაისი. „ფორვერტსი“ ეხება რა კუნოს სიტყვას, აღნიშნავს, რომ საფრანგეთი აწარმოებს ძალადობის პოლიტიკას. გერმანია კი მიდის მშვიდობიანობის გზით, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს მთელი ევროპა იმ სერიოზული მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ახლა იმყოფება.

საფრანგეთი მიუღებლად თვლის.

ბერლინი. 4 მაისი. „ფოსსიშე ცაიტუნგ“-ს პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, პუანკარემ საფრანგეთის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გერმანიის ნოტას მინისტრთა საბჭო ამ დღეებში განიხილავსო. ამასთან ერთად პუანკარემ სთქვა: ეხლავე შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ გერმანიის ნოტა საფრანგეთისათვის მიუღებელიაო.

რეიტერისა და ჰავასის სააგენტო ამასვე იუწყებიან.

საერთო ფრონტით.

ბერლინი. 4 მაისი. ოფიციოზური პარიზის პრესა აღნიშნავს, რომ საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობები საერთო პასუხს გამოიმუშავებენ გერმანიის ნოტაზე.

„პტი პარიზიენი“ იუწყება, რომ ორივე მთავრობებს შორის უკვე ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა საერთო პასუხის შესახებ. გერმანიის ნოტას ორივე მთავრობა მიუღებლად თვლის.

ლონდონის წრეებში.

ბერლინი. 4 მაისი. ლონდონის ოფიციალური წრეები გერმანიის ნოტის შესახებ დიდ თავდაჭერილობას იჩენენ. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის მთავრობას არავითარი გავლენა არ მოუხდენია გერმანიის ნოტის შინაარსზე.

სხვადასხვა ამბები

ინგლისი

საზღვაო ბიუჯეტი.

ლონდონი. 2 მაისი. საზღვაო ბიუჯეტზე კამათის დროს თემთა პალატაში საზღვაო დეპარტამენტის მდივანმა მოითხოვა ხარჯთ-აღრიცხვის გადიდება, რადგან ერთ მილიონ გირვანქამდე უნდა დაიხარჯოს მალტის ადენის, ცეილონის და სინგაპურის გასამაგრებლად, ურომლისოთაც შეუძლებელია ინგლისის აღმოსავლეთის კუთხეების უშიშროების უზრუნველყოფა.

მუშათა პარტიის წევრებმა შეკითხვა მისცეს ვის წინააღმდეგ მაგრდება სინგაპური: ამერიკისა თუ იაპონიის წინააღმდეგ და აღნიშნეს, რომ იაპონია სინგაპურის გამაგრებას უნდობლობის ნიშნათ ჩასთვლის.

კამათში ჩარეულმა ნიუპოლდმა საყვედური უთხრა საზღვაო დეპარტამენტს მისი ფინანსიურ წრეებთან სიახლოვის გამო და კატეგორიულათ გამოვიდა ბიუჯეტის წინააღმდეგ.

საჰაერო ფლოტს ამაგრებენ.

ლონდონი. 2 მაისი. საჰაერო ფლოტის მინისტრმა განაცხადა, რომ თავდაცვის თვალსაზრისით ინგლისის საჰაერო ფლოტის ძალები ამ ჟამად არ არის საკმარისი და განაცხადა, რომ იმპერიის თავდაცვის კომისიის მთელი ყურადღება მიპყრობილია ამ საკითხისაკენ.

უნგრეთი

ხორტის განზრახვა

ლონდონი, 5 მაისი. ინგლისის გაზეთების ცნობით ადმირალი ხორტი შეეცადა თავისი თავი „გამოღვიძებულ უნგრელების“ ჯგუფის დახმარებით უნგრეთის მეფედ გამოეცხადებია. ამ განზრახვას ხელი შეუშალა გრაფმა ბეთლენმა ინგლისის წარმომადგენელმა ბუქარესტში განუცხადა უნგრეთის მთავრობას, რომ ის არ დაუშვებს მონარქიულ გადატრიალებას.

გერმანია

თავისუფლება ლიუდენდორფის რეცეპტით

სტამბოლი, 5 მაისი. ოსმალეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ლიუდენდორფმა განაცხადა, რომ გერმანიის ერმა უნდა მიიღოს თავისუფლება და იზრუნოს ჰოგენცოლერნების დასაბრუნებლათ.

რუსეთი და ფინეთი

რუსეთ ფინეთის მოლაპარაკება.

გელსინგფორსი. 3 მაისი. რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ ფინეთის დელეგაციის თავმჯდომარემ საუბარის დროს განაცხადა, რომ რუსეთმა დიდი და გულწრფელი სურვილი გამოიჩინა ფინეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ. ახლო ხანში ფინეთის დელეგაციის თავმჯდომარე ბრუნდება მოსკოვში ხელშეკრულების შესახებ საბოლოოთ მოსალაპარაკებლათ და ხელის მოსაწერათ.

რუსეთი და იაპონია

რუსეთის ცნობა ახლოა.

ტოკიო. 3 მაისი. იაპონიის უმაღლეს პალატაში მოხსენების დროს გოტომ განაცხადა, რომ როგორც იაპონიის ისე რუსეთის პოზიცია მეტად ხელსაყრელია ორივე სახელმწიფოს შორის ურთიერთობის აღსადგენათ.

იაპონია დაინტერესებულია.

ტოკიო. 3 მაისი. იაპონიის გაზეთი „ნიჩი ნიჩი“ სწერს: იაპონია ყველაზე უფროა დაინტერესებული რუსეთის საკითხის გადაჭრაში. რუსეთის ცნობის მოწინააღმდეგებმაც უნდა აღიაროს, რომ ორივე სახელმწიფოს ინტერესებს ბევრი რამ აქვს საერთო.

ჩვენი ნოტა იაპონიას.

მოსკოვი. 4 მაისი. საგარეო საქმეთა კომისარის მოადგილემ ამხ. კარახანმა ნოტით მიმართა იაპონიის მთავრობას. ნოტაში ამხ. კარახანი აღნიშნავს, რომ თუ იაპონიის მთავრობას სურს დაამტკიცოს რუსეთთან საჩქარო კავშირის აუცილებლობა, რაც მან არა ერთხელ გამოსთქვა, მაშინ უნდა მიიღოს ზომები სტარკის მიერ ვლადივოსტოკიდან წაყვანილ და ამ ჟამად გენზანში მყოფ გემების დასაბრუნებლად.

პირველი მაისის დღესასწაული ბურჟუაზიულ სახელმწიფოში

ლატვიაში

რიგა, 2 მაისი პირველი მაისის დემონსტრაციების დროს რიგაში მუშებს თავს დასხნენ ფაშისტების, იუნკრების და ოფიცრების შეარაღებული ბანდები. ფაშისტები ისროდენ „ზალპით“ რევოლვერებიდან. პოლიცია ფაშისტების მხარეზე იყო და თოფის კონდახებით ერეკებოდა მუშებს. ხმარობდენ ჯოხებსა და ხმლებსაც სოციალ-დემოკრატებს ფაშისტებმა დაუხიეს სამი დროშა, მემარცხენე პროფესიონალისტებმა მოახერხეს თავის დროშების დაცვა. პოლიციამ დაატუსაღა ტრანსპორტის 5 მუშა რომელნიც გაიძახოდენ: „ძირს რეაქცია“ სისხლი ადინეს ისდეკებს ბრუნოს, კალნინს და ბუჩკალკს. დაშავდა აგრეთვე ბევრი მუშები ისდეკები ფიქრობენ ულტიმატუმით მოითხოვონ პოლიციის რეორგანიზაცია და პრეფექტის დათხოვნა,

ვარშავაში

ვარშავა. 3 მაისი. ვარშავაში პირველი მაისის დღესასწაულის დროს შავრაზმელებმა მოაწყვეს ებრაელთა მორიგი დარბევა და კომუნისტებზე თავდასხმა, პეპეესოველები გულგრილათ უცქეროდენ ებრაელ მუშების ცემას. პოლიცია, როგორც ყოველთვის, ფაშისტების მხარეზე იყო და ატუსაღებდა იმ ებრაელებსაც კი, რომელნიც თავდასხმას იგერიებდნენ ვარშავაში 120-დე დაჭრილია და 100 მეტი ნაცემი. პოლონელის გაზეთებიც კი აღიარებენ, რომ ასეთი სისხლიანი დღესასწაული არ ჰყოფილა 1905 წ აქეთ

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ვასერმანის ჩამოსვლა.

მოსკოვი. 4 მაისი. ვინაიდან გერმანიის სამეცნიერო დაწესებულებებს არ ჰქონდათ საშუალებები ვასერმანის მიერ აღმოჩენილ სიფილისით ექიმოზის ცდების საწარმოებლად, შემდეგი ცდები გადატანილი იქნება მოსკოვის სახელმწიფო ვენერიულ ინსტიტუტში. მოსკოვში ელიან თვით ვასერმანის ჩამოსვლას.

თათბირი შორეულ აღმოსავლეთის საქმეების შესახებ.

მოსკოვი 4 მაისი. ს. ს. რესპუბლიკების კავშირის მიერ შორეულ აღმოსავლეთის ოლქთან სრულ ნორმალურ ეკონომიურ დამოკიდებულებათა აღსადგენათ, შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა შორეულ აღმოსავლეთის საქმეების შესახებ სპეციალური თათბირი. თათბირის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. ლეჟავა.

უკრაინა

წარმოების ფრონტზე

ხარკოვი. 4 მაისი. მაღაროების მდგომარეობა იუზოვკაში შესამჩნევად გაუმჯობესდა, მარტში ამოღებულია 2.142 000 ფ. ნახშირი. აპრილში მაღაროებში შემჩნეული იყო ამოღების გადიდება. იუზოვის მეტალურგიული ქარხანა 2 თვით უზრუნველყოფილია კოქსით და ნედლი მასალით. თუჯის გამოშვება ქარხანაზე ავიდა 300,000 ფ. თვეში.

სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობა

სალამი საბჭოთა ხელისუფლებას.

მოსკოვი. 3 მაისი. გუშინ გაიხსნა სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობის საქმიანი სხდომები. ყრილობას ესწრება უცხოეთის პრესის ბევრი წარმომადგენელი. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულია ციმბირის მიტროპოლიტი პეტრე, საპატიო თავმჯდომარეთ—მოსკოვის მიტროპოლიტი ანტონი.

სიტყვით გამოვიდა დეკანოზი ვვედენსკი, რომელმაც შემოიტანა წინადადება. სრულიად რუსეთის ცენტრალმასკომისათვის მხურვალე მისალმების გაგზავნის შესახებ, რადგან ის, მიუხედავათ იმისა, რომ არ არის მორწმუნე, აკეთებს სიყვარულის იმ საქმეს, რომელსაც არ აკეთებენ მორწმუნეები, ვვედენსკიმ შემოიტანა აგრეთვე წინადადება ამხ. ლენინისათვის მისალმების გაგზავნის შესახებ, რადგან ის ისევე ძვირფასია ყრილობისათვის, როგორც მთელი მოქალაქეებისათვის

მისალმებითი დეპეშაში სრულიად რუსეთის ცენტრ-აღმასკომის სახელზე ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ცხოვრებაში ატარებს ქრისტიანული მოძღვრების საფუძველს—შრომასა და თანასწორობას. ამხ. ლენინს ყრილობა უსურვებს ჩქარა განკურნვას, რათა კვლავ ჩაუდგეს სათავეში მშრომელთა ბრძოლას უდიდესი სოციალური სამართლიანობისათვის.

ყრილობის დელეგატებს მიესალმა ამერიკული ეპისკოპოსი ბლეკი, რომელიც ამერიკის ეკლესიის ეპისკოპოსთა საბჭომ გამოგზავნა ყრილობაზე დასასწრებათ.

ქრისტეს მაგიერ ბანკირი როკფელერი.

3 მაისს ყრილობაზე მოსმენილ იქმნა დიდი მოხსენება მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ სოციალური რევოლიუციისა, საბჭოთა ხელისუფლებისა და პატრიარქ ტიხონისადმი.

დეკანოზმა ვვედენსკიმ მიუთითა, რომ არა მარტო რუსეთის არამედ მთელი მსოფლიოს ეკლესია მწვავე კრიზისს განიცდის. მსოფლიოს ეჭვი შეეპარა ქრისტიანობის ღირებულებაში და სურს დასტოვოს მისი გზა. და ეს ბუნებრივია, რადგან უდიდეს სოციალურ ბრძოლაში ეკლესია დადგა კაპიტალისტების მხარეზე, შეუკავშირდა ბანკირებს და თავის ღმერთად ქრისტეს ნაცვლად ბანკირი როკფელერი გაიხადა. პირველი სოციალისტები: სენ-სიმონი, ფურიე და სხვები არ სწყვეტდენ კავშირს რელიგიასთან. მარქსისტებმა პირველათ განაცხადეს, რომ სარწმუნოება—ეს ოპიუმია ხალხისათვის. ანტიქრისტეები არიან ისინი თუ არა? არა, უპასუხებს თვით ვვედენსკი. მარქსს, კომუნისტებს, საბჭოთა ხელისუფლებას არ სწამს ქრისტე, მაგრამ მუშაობენ მისი მოძღვრების განსახორციელებლად. ჩვენი ყრილობის წინაშე, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს დგას მოვალეობა სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ კაპიტალი და არა კომუნისტები, რომლებიც არ იცნობენ და არც სურთ იცნონ ქრისტე და დავლოცოთ უკანასკნელნი ქრისტეს სახელით.

ეკლესიამ უნდა აღიაროს კომუნისტური რევოლიუციის სიმართლე. საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფო მეთოდებით ანხორციელებს ქრისტეს სიმართლეს. ყრილობამ მთელს ქვეყანას უნდა აუწყოს, რომ მხოლოდ რუსეთში არსებობს სახელმწიფო სიმართლე და უნდა ვიზრუნოთ მისი განმტკიცებისათვის.

ქრისტეს მაგიერ, რომანოვები.

გადადის რა ტიხონის ეკლესიის საკითხზე, ვვედენსკი ამ ეკლესიას უწოდებს რომანოვების ეკლესიას, რადგან თვითმპყრობელობის დროს ეკლესია ემსახურებოდა არა ქრისტეს, არამედ მეფეს. ვვედენსკი ვრცლათ ეხება ტიხონის დანაშაულს, და პატრიარქობას უწოდებს „რუსეთში თვითმპყრობელობის აღდგენის სამინისტროს“ და გაკვირვებას გამოსთქვამს თუ როგორ ითმენდა საბჭოთა ხელისუფლება ამ ბოროტებას. დაივიწყეთ ჯგუფური და კერძო ინტერესები, დალოცეთ პატრიარქის დამხობა და სთქვით, რომ ტიხონი ბელადი არ არის. უარყავით თვით პატრიარქატი, როგორც ბოლშევიზმთან ბრძოლის იარაღი, ვვედენსკის სიტყვის დროს გაისმოდა ხმები: „მართალია, მართალია, ტიხონი არ არის ბელადი“. ჩვენს გულში აღდგომა სუფევს, ამბობს ვვედენსკი, ეკლესია აღსდგა. ჩვენ ხმა-მაღლა ვეუბნებით ყველა თეთრ-გვარდიელებს: „ჩვენ თქვენთან არ ვართ, ჩვენ ეკლესიასთან ვართ“.

პატრიარქ ტიხონის მაგიერ—ვასილ ბელავინი.

ვვედენსკის სიტყვის შემდეგ მიტროპოლიტი ანტონი აქვეყნებს ეპისკოპოსების ყრილობის დადგენილებას ტიხონისათვის საპატრიარქო ღირსების ახდის შესახებ.

ანტონის სიტყვის შემდეგ ყრილობამ გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: **„ყრილობა აღიარებს ტიხონს ქრისტიანობის ნამდვილ მოძღვრების და ეკლესიის მოღალატედ. საეკლესიო კანონების მიხედვით ყრილობა საპატრიარქო ღირსებას ხდის ტიხონს. ტიხონი ამიერიდან არის ვასილ ბელავინი“.**

ამას გარდა ყრილობამ გამოაქვს დიდი რეზოლიუცია, რომელშიაც განმარტებულია ეკლესიის დამოკიდებულება სოციალური რევოლიუციისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

კოოპერატივების მოსამსახურეთა გაფიცვა.

ლონდონი. 3 მაისი. ლონდონში გაიფიცენ კოოპერატივების და ინგლისის ბითუმათ მსყიდველი კოოპერატიული საზოგადოების მოსამსახურეები. გაიფიცენ აგრეთვე არშაირის კოოპერატიული ორგანიზაციების მოსამსახურეები. გაფიცვის მიზეზია ის, რომ ადმინისტრაციამ უარი სთქვა მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ზაფხულში თორმეტი დღის შვებულების მიცემის შესახებ ჯამაგირის შენახვით.

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა ფართოვდება.

სტოკჰოლმი. 2 მაისი. გოგენბორგის ნავთსადგურის მუშების გაფიცვა, რომელიც დაიწყო პირველ მაისს, ფართოვდება. გაფიცვას შეუერთდენ ტრანსპორტის მუშებიც. შრომის ხელფასის შემცირების გამო გაიფიცენ საკონსერვო წარმოების მუშებიც.

გემების შესაკეთებელი სახელოსნოების მუშების გაფიცვა.

გელსინგფორსი. 3 მაისი. გელსინგფორსში დაიწყო გემების შესაკეთებელი სახელოსნოების მუშების გაფიცვა, რომლებიც მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას.

მკერავებიც გაიფიცენ.

პარიზი. 3 მაისი. პარიზის მკერავების გაფიცვა გრძელდება.

ჩინეთის მუშები კავშირდებიან.

პეკინი. 3 მაისი. ჩინეთის მუშათა ორგანიზაციების სეკრეტარიატმა მოწოდებით მიმართა ჩინეთის ყველა მუშებს. მოწოდებაში პეკინში და ხანხოუს რკინის გზებზე გაფიცვის შესახებ ნათქვამია, რომ მთავრობას უფლება არა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მუშების კანონიერ მოთხოვნილებებს. მოწოდება მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მუშებს იარაღი აჰყარეს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ჩინეთის მუშები შეკავშირდებიან მომავალ ბრძოლისათვის.

უცხოეთის ცხოვრება

იტალია მოსკოვის გამოფენაზე.

„დჟორნალე დ' იტალია“ იტყობინება, რომ „იტალიის სავაჭრო და კოლონიალურ გავრცელების ინსტიტუტი“ მიიღებს მხურვალე მონაწილეობას მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. იტალიის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელს მოსკოვში მარიანის და დეპუტატ რონდანის მინდობილი აქვთ ფართოთ მოაწყონ გაცნობის საქმე

„კრებების თავისუფლება“.

„პრეისიშე ცეიტუნგის“ კორესპონდენტი კენიგსბურგში იტყობინება, რომ შვიდი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ადგილობრივმა კომიტეტმა გამოუშვა განცხადება მუშათა კლუბში განზრახულ კრებების შესახებ. კრებაზე უნდა ყოფილიყო კომუნისტური პარტიის წევრის მოხსენება. პოლიციის უფროსის მიერ კრება აკრძალული იქნა და როდესაც მუშებმა მაინც მოინდომეს კრების ჩატარება, მუშათა კლუბის შენობა გარშემორტყმული იქნა პოლიციით, ხოლო მრავალ-რიცხოვანი ხალხი, რომელსაც კრებაზე უნდოდა შესვლა გარეკილ იქნა ცხენოსან პოლიციის მიერ.

რურის ავანტიურის გარშემო.

საფრანგეთის პრესა გაცხარებით მსჯელობს იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც თითქოს გადაუდგამს გერმანიის მთავრობას იტალიის შუამავლად ჩარევის მიზნით. გაზეთი ეყრდნობა იმ ხანგრძლივ ბაას, რომელსაც ამას წინათ ადგილი ჰქონდა მუსსოლინის და გერმანიის ელჩ ფონ ნეირატომს შორის. ამ საკითხის შესახებ იტალიის პრესამ მოათავსა ოფიციალური ცნობები, რომელიც უარყოფს იტალიის შუამავლობის ცნობებს და აღნიშნა, რომ გერმანიის მთავრობამ ერთ და იმავე დროს ასეთივე განცხადებით მიმართა რომის. ლონდონის და ვაშინგტონის კაბინეტებს. ამ განცხადებებში ნაჩვენები იყო გერმანიის თვალსაზრისი კონფლიქტის ლიკვიდაციის საშუალებების შესახებ, მაგრამ არავითარი თხოვნა სპეციალურად იტალიის მთავრობისადმი შუამავლად ჩადგომის შესახებ არ ყოფილა.

ტერორის წინააღმდეგ ინგლისში.

„როტე ფანე“-ს ცნობით, ამას წინათ მთელ ინგლისში შესდგა კომუნისტურ პარტიის მიერ მოწყობილი მთელი რიგი საპროტესტო კრებებისა მთავრობის ტერორის წინააღმდეგ ირლანდიაში.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გორი.

მილოცვა ამხ. მიხა ცხაკაიას.

გორის მაზრის მუშურ გლეხური მილიცია მოგესალმებათ და გილოცავთ საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულს—1 მაისს და ფიცსა სდებს თქვენს წინაშე ძირს არ დაუშვას გამარჯვების დროშა. მილიციამ პირველი მაისის სახელწოდებაზე გახსნა მილიციის სამკითხველო; გამართა სამხიარულო ზეიმი, რომელზედაც სამკითხველოს სასარგებლოდ შემოვიდა შემოწირულება ფულად 260.000.000 მანეთი.

გორმაზრის მილიციის უფროსი
ჟორჟოლიანი.

აჭარა.

ხელოვნების მუშაკთა კავშირი საჰაერო ფლოტისათვის.

ბათომი. 4 მაისი. ბათომის ხელოვნების მუშაკთა კავშირი თავისი არსებობის ორი წლის თავზე, 9 მაისს აწყობს საჰაერო ფლოტის დახმარების დღეს.

მობილიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა.

ბათომი. 4 მაისი. დღეს ბათომიდან გაიგზავნა სამსახურის ადგილებზე ჯარში გაწვეულთა უკანასკნელი პარტია. მობილიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა, გამოცხადდა 100 პროცენტი.

ძირ-ტკბილას გაგზავნა.

ბათომი. 4 მაისი. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო აგზავნის უცხოეთში ძირ-ტკბილას დიდ პარტიას განჯის რაიონიდან.

აზერბეიჯანი

ნიშნად პროლეტარული სოლიდარობისა.

ბაქო. 4 მაისი. ანინსის ახალშენის მცხოვრებლებმა შესწირეს რურის მუშების სასარგებლოდ 300 ვედრო ღვინო.

ეკლესია სკოლისათვის.

განჯა. 4 მაისი. სად. განჯის მუშებმა და მოსამსახურეებმა ერთხმად დაადგინეს მისცენ წინადადება ადგილობრივ რკინის-გზელთა პროფესიონალურ კავშირს, რათა რკინის-გზის ეკლესია გადაკეთებული იქნეს ფაბრიკა-ქარხნების სკოლად.

ოქროს სესხი.

ბაქო. 4 მაისი. ბაქოში და მის სამრეწველო რაიონებში განაღდებულია რ. ს. ფ. ს. რ. ოქროს მომგებიანი სესხის ობლიგაციები 954,090 ოქროს მანეთის რაოდენობით.

ნავთის პროდუქტების გაზიდვა.

ბაქო. 4 მაისი. 1 მაისს ბაქოდან ასტრახანში გაზიდულია შავი ნავთის პროდუქტი 73,597 ფუთის რაოდენობით, პეტროვსკიდან. ასტრახანში—გროზნოს პარაფინისებური ნავთი 89,815 ფუთი.

ბაქოს ბაზრობა.

ბაქო. 3 მაისი. ბაქოს ბაზრობაზე მოდის მრავალი სხვა და სხვა საქონელი. მოთხოვნილებები შენობებზე საქონლისათვის რუსეთიდან და სპარსეთიდან ყოველდღე იზრდება. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ბრძანებამ, რუსეთის და სპარსეთის ჩამომავლობის საქონლების თავისუფლად შემოტანა და გატანის შესახებ, დიდი ინტერესი გამოიწვია სპარსეთის ვაჭრებში. საბაზრო კომიტეტი ელის საქონლის დიდ მოზიდვას და დიდ სავაჭრო ოპერაციებს ბაზრობაზე. განსაკუთრებით ემზადება ვაჭრობისათვის მოსკოვი, უკრაინა და ვოლგის მხარე. ცნობები ბაზრობის შესახებ საჩქაროდ იგზავნება წერილობით და ტელეგრაფით.

მალიარიასთან ბრძოლისათვის.

ბაქო. 3 მაისი. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა ჯანმრთელობის კომისარიატის შუამდგომლობა სასურსათო გადასახადის ფონდიდან 20.000 ფ. ხორბლის მიცემის შესახებ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის ასაშენებლად. სამალიარიო კომიტეტს მიეცა 40.000 ფუთი ხორბალი აზერბაიჯანში მალიარიის საწინააღმდეგო სადგურის და ამბულატორიის მოსაწყობად.

სომხეთი

დაზღვევის საქმე.

ერევანი. 4 მაისი. ერევანში იხსნება საბჭოთა რუსეთის დამზღვევი საზოგადოების განყოფილება, რომლის ძირითად კაპიტალს შეადგენს 500 მილ. მანეთი 1922 წ. ფულის ნიშნებით და 2,500,000 ოქროს მანეთი.

საექიმო დახმარება.

ერევანი. 4 მაისი. აპრილის განმავლობაში ერევნის ცენტრალურ ამბულატორიაში აღრიცხულია 7,516 ავადმყოფი.

საგადასახადო კამპანია.

ერევანი. 4 მაისი. საგადასახადო სამმართველომ მოაგროვა მაზრებში, გარდა დარალაგეზისა, არა პირდაპირი გადასახადის სახით დაახლოვებით 838 მილ. მან. ერევანში აკრეფილია 4 მილიარდ მანეთზე მეტი.

შირაქის არხი.

ალექსანდროპოლი. 4 მაისი. დღემდე შირაქის არხის გასაყვანად მიწის ქვეშ მუშაობა შესრულებულია 420 საჟენის მანძილზე, მაღაროებში 36 ნახ. საჟ მანძილზე. ამ არხმა უნდა მორწყას 16,000 დესიატინა, რომელიც დღემდე დაუმუშავებელი რჩება.

კოოპერაცია.

ერევანი. 4 მაისი. სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა მიიღო ამიერ-კავკასიის ცენტროკავშირიდან ერთი ვაგონი მანუფაქტურა, მეორე ვაგონით მანუფაქტურას მოელიან მახლობელ დღეებში. მანუფაქტურა განაწილებული იქნება სამაზრო კოოპერატივებს შორის. სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის განყოფილება თავრიზში გაუქმებულია.

გიგო იორდანიშვილის იუბილე

(1899—1923 წ.)

მოწოდება

დღეს სრულდება 25 წელი მას შემდეგ, რაც რეჟისორის თანაშემწე (სცენარიუსი) გიგო იორდანიშვილი ემსახურება ნარ-ეკლით მოცულ ქართულ თეატრს.

იშვიათად მოიპოება ტფილისში ისეთი მუშათა უბანი, სადაც გიგო იორდანიშვილს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს თეატრალურ კულტურის გამავრცელებელ წრის შედგენაში და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ამდენი ხნის დაუღალავმა და თავგანწირულმა შრომამ, მეტად საგრძნობი ნაყოფი მოუტანა ქართულ თეატრს და კერძოდ, ვერის სახალხო აუდიტორიას, რომლის ერთი-ერთ სულის ჩამდგმელად იგი ითვლება.

გიგო იორდანიშვილი, ქართველ მუშა ხალხის სამსახურის გრძნობით გატაცებული, ყოველთვის ღრმა გრძნობით ეკიდებოდა სხვა და სხვა დარგს სათეატრო ხელოვნებისას: ხშირად მას უხდებოდა რეჟისორ, მსახიობ სცენარიუსის მოვალეობათა ერთად აღსრულება.

აღსანიშნავად მისი სასარგებლო და ნაყოფიერ მოღვაწეობისა, გადაწყვეტილია ეს 25 წლის თავი შესაფერის ზეიმითა და პატივისცემით იქნეს აღნიშნული.

ასეთ დღეთ დანიშნულია დღევანდელი კვირა, რუსთაველის თეატრში.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საზოგადოება მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ ზეიმში.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე **შალვა დადიანი.**

თავმჯდომარის ამხანაგი **დ. ჩხეიძე.**
მდივანი **გ. ჯიქია.**

საიუბილეო კომიტეტის წევრები: ა. აბელიშვილი, ს. ანკარა, ვ [illegible], ს. ახვლედიანი, ე. ბერიაშვილი, ვ. ბერძნიშვილი, ა. გაჩეჩილაძე, პ. დადვაძე, ი. თაზიშვილი, პ. საყვარელიძე, პ. საფაროვი, გ. ყურულაშვილი, კ. მარჯანიშვილი, დ. კიკნაძე, გ. კერვალიძე, ნ. ჩიტოშვილი, ა. ფალავა, შ. აფხაიძე.

გიგო იორდანიშვილი

(25 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო)

გიგო! რამდენი სულიერი სიამოვნება გაგვირბენს გულში გარე-უბნელებს ამ სახელის მოგონებით, რა კეთილი შთაბეჭდილება დაუტოვებია გიგოს, ყველა მათზე, ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს იგი, ამა თუ იმ გარე-უბნის აუდიტორიაში სასცენო მუშაობის დროს!

გიგო ჩვენ არ გვინახავს ღრმა არისტოკრატიულ როლებში, (მსახიობს ხშირად ისეთი როლის თამაში უხდებოდა, რომელიც მის ინდივიდუალობას არ შეესაბამებოდა) მაგრამ მისი თამაში ზნე ჩვეულების (თუ შეიძლება ასე ითქვას) კომედიებში კი, სწორეთ იდეალურია ხოლმე. მისი დაკვირვებითი თამაში, სიღრმე განცდის. გასაკვირველი დახასიათება ჩვენი წარსულ ჩვეულების, ზნეობის, ხასიათის და გონების ნაკლულევანების ნათლად გადმოცემა. მსახიობის სულიერ სიძლიერეს წარმოადგენს, და თუ ჩვენმა დიდმა მსახიობმა ვასო აბაშიძემ, ამ გვარ კომედიებში, დაცინვით, გაკიცხვით, ოხუნჯობით ბევრში გაგვასწორა და მოქალაქობრივ ცხოვრებისათვის მოგვამზადა, და თუ ამ მიმართულებით, ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის, მნიშვნელოვანი როლი ჩვენ შეგვიძლია თამამათ ვთქვათ, რომ ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის გიგო იორდანიშვილსაც.

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ მით უფრო საგულისხმო და ძვირფასია ჩვენთვის ის მსახიობი, რომელსაც დაუსახავს მიზნათ ზნე ჩვეულების კომედიის საშუალებით გააღრმავოს ხალხში აზრი სოციალურ მიდრეკილებისა, რომ მისმა თამაშმა თუ მუშაობამ ყოფა-ცხოვრების და ზნე-ჩვეულების გარშემო, წარმოშოს მომავალში სოციალური მოტივების დრამატიული ხელოვნება.

სწორეთ ასეთ მსახიობთა ჯგუფს ეკუთვნის გიგო. 25 წელი თავის თავად დიდი დროა, მაგრამ ერთიათად დიდი და მძიმეა ისეთ მსახიობისათვის, რომელიც არ იჩენს დაღლილობას, დაუზარებლობას და მუდამ ღრმად გულწრფელი მეგობარია თეატრის. რადგან დაუზარებლობას იჩენდა გიგო, როდესაც მივმართავდით ხოლმე გარე-უბნელები და ვთხოვდით, ამა თუ იმ პიესის დადგმას, სცენის მოწყობას, ხელმძღვანელობას და ხშირათ მონაწილეობის მიღებას პიესაში.. იგი ხმა ამოუღებლივ გვისმენდა და გვეთანხმებოდა. . ეს მაშინ როდესაც ზოგი ჩვენი „გაარისტოკრატებული“ არტისტები თუ აქტრისები, გარეუბანში არცკი მოგვხედავდნენ. იორდანიშვილი მთელის ენერგიით, ხელოვნებისადმი სიყვარულით გამსჭვალული, დაუღალავათ სთელავდა გარეუბნის ქუჩებს (ბევრჯელ მშიერ-მწყურვალი) და შრომის და მეცადინეობის საშუალებით აღრმავებდა გარე-უბნელებში სიყვარულის და ზნეობრივ კავშირს თეატრისადმი... და თუ ეს კავშირი სუსტდებოდა ხოლმე, მაშინვე ჩნდებოდა გიგო და გაორკეცებულ ენერგიით სცდილობდა მის აღდგენას.

ასეთია გიგოს ღვაწლი სასცენო ასპარეზზე!. ამიტომ ვაფასებთ მას და ვეუბნებით!

ვაშა, ვაშა იორდანიშვილს!!!

გოგი გ—მე.

პარტიული ცხოვრება

სამშაბათს, 8 მაისს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირების საბჭოს პატარა დარბაზში იწვევს პოლიტიკური წრეების, პარტიული სკოლების ხელმძღვანელების და უჯრედებთან მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგების და მდივნების

თათბირს

დღის წესრიგში დგას საკითხი:
საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ჯამი.

ვინაიდან ახლო ხანში მოხდება პოლიტიკური ცოდნის შემოწმება და აგრეთვე საჭიროა საამისო მეთოდების გამომუშავება, ყველა მოწვეულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომიტეტის მდივნის მაგიერ **ივანოვი.**
საგიტაციო-საპროპ. განყოფილების გამგე **ეხენი.**

პარტიული მუშაობა ბათომის ოლქში მარტში

ორგანიზაციული მუშაობა. ბათომის ორგანიზაციის მდგომარეობა საანგარიშო თვეში საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

ადგილებზე ცალკე უჯრედების მუშაობას ეტყობა გაუმჯობესება საანგარიშო თვეში უმთავრესი ყურადღება მიქცეული ჰქონდა მიწ. მოქმედების სახ. კომისარიატს, იუსტ. სახ. კომისარიატს, პარტამშრდელობის მუშაობას და უპარტიოთა შორის მუშაობას. კომიტეტს ჰქონდა ერთი სხდომა, გაირჩა 14 საკითხი, კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა შესდგა 2. საორგანიზაციო კოლეგიას ქონდა თათბირი 2—ახ. კომკავშირის უჯრედებზე ხელმძღვანელის მიმაგრების შესახებ, თათბირი უჯრედების მდივნების და ხელმძღვანელებისა—უპარტიოთა შორის მუშაობის შესახებ.

პარტორგანიზაციებს დაეგზავნა 1 ცირკულიარული წერილი მენშევიკური პარტიიდან გამოსვლის მსურველთა განცხადებების აღრიცხვის შესახებ. უჯრედები აწარმოებენ მუშაობას გამომუშავებული გეგმის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი გეგმის ცხოვრებაში გატარებამ გამოიღო აუცილებლად დადებითი ნაყოფი.

გეგმა შეწონილი მუშაობის წარმოებამ რამოდენიმედ შესცვალა უჯრედებზედ სახელმძღვანელოდ მიმაგრებულ ამხანაგების როლი თუ წინათ ისინი ითვლებოდნენ თითქმის მუდმივ მომხსენებლებად, ეხლა მათ უხდებათ მხოლოდ ხელმძღვანელობის გაწევა ცალკე ამხანაგების ინიციატივისა. მოხსენებებს ხშირათ აკეთებენ რიგის წევრებიც. ამასთან უმთავრესი ყურადღება ამ უჯრედების მუშაობაში აქვს მიქცეული იმ გარემოებას, რომ მეცადინეობას უჯრედებში ექნეს რაც შეიძლება ამხანაგური საუბრების ხასიათი და არა გამოცდის.

უჯრედების გეგმაშეწონილ მუშაობის დროს თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს მუშაობას უპარტიოთა შორის. 33 უჯრედიდან უპარტიონი ესწრებიან 24 უჯრედის სხდომებს საკმაოთ გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე თვით უჯრედის წევრთა რიცხვია, პარტიისადმი ინტერესის გაღვივების მხრივ—24 უჯრედმა მიიზიდეს უპარტიოები საერთო რიცხვით 2.500 მუშა და მოსამსახურე.

არ შეიძლება უყურადღებოთ გაუშვათ ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ უჯრედებში უპარტიონი ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას უჯრედების სხდომებში. განცხადება პარტიაში მიღების შესახებ უჯრედებში საანგარიშო თვეში შემოვიდა 34, ამ რიცხვიდან 4 აპრელებია.

უჯრედების მუშაობის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ცალკე უჯრედების მუშაობა ძალიან განსხვავდება ერთი მეორისაგან, უფრო ჩამორჩენილ უჯრედებში მუშაობა სწარმოებს სააგიტ საპროპაგანდო განყოფილების მიერ მიცემულ გეგმით, აგრეთვე არჩევენ ადგილობრივი ხასიათის კითხვებს, ასეთი კითხვები განხილულ იქნა 300-მდე. ტიპიური კითხვები ამათგან შემდეგია: პროფმოძრაობა; კოოპერატიული აღმშენებლობა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის რეფორმა, მოხსენებები დაწესებულებების მუშაობის შესახებ, კვირეული მიმოხილვა პრესის, საკითხები მუშა-მოსამსახურეების ყოფა ცხოვრების მდგომარეობაზე, რელიგიური, ოქროს მომგებიანი სესხის შესახებ, დახმარება რევოლიუციის ძველ მებრძოლებს და სხვ.

თვის განმავლობაში უჯრედების რიცხვი გაიზარდა 29-დან 33-მდე. შემოვლა და მუშაობის გამორკვევა უჯრედებში მოწყობილ იქმნა 15. 4 უჯრედში ჩატარებულ იქნა ინსტრუქტიული მოხსენება „ჩვენი უჯრედის ამოცანებზე“, რამაც გამოიწვია ხსენებულ უჯრედების მუშაობის გამოცოცხლება.

საორგანიზაციო განყოფილება აქტიურ მონაწილეობას იღებდა „სპარტაკის“ გამაგრების კვირის ჩატარებაში და სამზადისი მუშაობაში „უმუშევარ მოზარდის“ კვირის ჩასატარებლად: პირველი ამ კამპანიათაგანი ჩატარდა კარგათ და მისცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სპარტაკის" ორგანიზაციის საკმაო ფულის მარაგი და პოლიტიკური დახმარება. მეორე კამპანიის ჩატარება დაიწყება აპრილის თვიდან, ამ კამპანიის ჩასატარებლად გამოყოფილია სპეციალური კომისია.

საგიტ საპროპაგანდო მუშაობა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ის დადებითი მოვლენა, რომ საანგარიშო თვეში განსაკუთრებით ნათლად და მკაფიოთ გამოირკვა პარტიის გავლენა უპარტიო მუშურ-გლეხურ მასსაზე, როგორც შედეგი გაძლიერებული პარტიული და საბჭოთა მუშაობისა აჭარაში.

საანგარიშო თვეში 32 უჯრედებში ჩატარებულ იქნა შემდეგი კითხვები: 1. ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი, 2. თებერვლის რევოლიუციის 6 წლის თავი, 3. კომპარტიის არსებობის 25 წლის თავი, 4. პარიზის კომმუნის 52 წლის თავი, 5. აჭარის გასაბჭოების 2 წლის თავი, 6. საქ. კომპარტიის მორიგი ამოცანები, 7. ანტირელიგიური პროპაგანდა. სულ გამოდიოდენ მოხსენებით აგიტატორ-მომხსენებლები 297.

ქალთა საერთაშორისო დღე. ამ დღის შესახებ დღესასწაულის ჩატარებამდე დასმულ იქნა ამავე თემაზე საკითხი კომუჯრედებში, პროფკავშირის კრებებზე, დღესასწაულის წინადღეს მოწვეულ იქნა უპარტიო ქალთა ორგანიზაციის კრება, რომელსაც დაესწრნენ ოლქიდან დედეგატი-მუსულმანი ქალები. დღესასწაული გაიხსნა საზეიმო მსვლელობით ქუჩებში, მიტინგებით, ქალაქი მორთული იყო. დღისით კლუბებში დადგმული იქნა საბავშვო წარმოდგენები, საღამოს რევოლიუციონური პიესები მოხსენებებით დღის შესახებ. ამ დღისათვის გამოვიდა საგანგებო ნომერი გაზეთისა ქართულ, რუსულ და მუსულმანურ ენებზე. გამოშვებულ იქნა სათანადო პლაკატები და ფურცლები, რომლებიც გავრცელებულ იქნა ქალაქში და ოლქში. გაიხსნა კლუბი მუსულმან-ქალთათვის. სულ მოხსენებები გამოდიოდენ 63 კაცი.

თებერვლის რევოლიუციის კამპანია, ამ თვეში კამპანიების ძალზე სიმრავლის გამო ჩატარებულ იქნა მხოლოდ უჯრედებში და რაიკლუბებში. სულ მოხსენებით გამოვიდა 30 კაცი. უფრო კარგათ ჩატარდა კომპარტიის არსებობის 25 წლის თავი, ამ დღეს მოხსენებით პარტიის ისტორიისა და მისი მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა სამოცი კაცი. ასევე ჩატარდა აჭარის გასაბჭოების 2 წლის თავი და პარიზის კომმუნის დღე, მოხსენებით გამოვიდა 87 კაცი.

ი. შ.

(დასასრული იქნება)

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(5 მაისი)

ოქროს 10 მან.—14,800 ათასი.
გირ. სტერ. — 7,800 ათასი.
დოლარი — — 1,760 ათასი.
ოსმ. ქალ. ლირა— 1,340 ათასი.

ძვირფასი ლითონის კურსი.

(5 მაისი)

ოქრო 96 სინჯ. მისხალი—3 მან. 50 კაპ. ოქრო 56 სინჯ.—1 მ. 80 კ. ვერცხლი წონით—7 კ. ხურდა ვერცხლის ერთი მანეთი—18.5 კაპ.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გადასდოს 1.500.000.000 მანეთი ბონებით ჰაეროპლან „ზარია ვოსტოკა"-ს ასაშენებლათ.

მუშკოპის ფასები.

(4 მაისი)

პური თეთრი—25, შაქარი ფხვნილი წვრილებისთვის—275, საპონი ყოფ. „ტოლლე"—გირვანქა—240, საპონი ადგილობრივი მარმარილოს—240, ლობიო—18—25, მარილი ფხვნილი—35, წუმწუმა—20.

თბილისის სადგურზე 3 მაისს მიღებული ტვირთი.

ადგილობრივი მარშრუტით: სიმინდი—4 ვაგონი, კართოფილი ახალი—2812 ფ., ვაშლი—357 ფ., ქვანახშირი—9 ვაგონი, შეშა—1 ვაგონი, ქიშმიში—1690 ფ, საზა—141 ფ., კალა—30 ფ., ტყვია—25 ფ., ლურსმანი—40 ფ., შაქარი-რაფინადი—305 ფ., ჩაი უცხოეთის—3 ფ. 5 გირ., წიგნები—1 ვაგონი, ზეთი—47 ფ., ანილინის საღებავი—24 ფ., სპირტი პურის—427 ფ., ფქვილი სიმინდის—60 ფ., აგური—145 ფ., ღვინო—8 ბოჭკა, არაყი—47,5 ფ., ნაფტალინი 9 ფ., თევზი—748 ფ.

საზღვარ-გარეთიდან საქონლების შემოტანის წესი.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შემოიღო კონსტანტინეპოლიდან ამიერ-კავკასიაში საქონლების შემოტანის წესი, რომლის თანახმათ საქონლის შემომტანს უნდა ქონდეს საგანგებო ნებართვა ამიერ-კავკასიის წარმომადგენლისაგან კონსტანტინოპოლში, გარდა სავაჭრო წარმომადგენლის ლიცენზიებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოტანილი საქონელი ჩაითვლება კონტრაბანდათ, და როგორც ასეთის მიმართ მიღებული იქნება საბაჟო წესებიდან სათანადო ზომა. დადგენილია სპეციალურათ გამოქვეყნდეს ამიერ-კავკასიაში და საზღვარგარეთ, რომ ამიერ-კავკასიის წარმომადგენლის ვიზა საჭიროა არა მარტო ამიერ-კავკასიაში შემოსატან საქონლის მანიფესტებისათვის, არამედ ფაქტურებისა და კონისამენტებისათვისაც.

საკითხი უცხოეთის ფირმების მონაწილეობის შესახებ ბაქოს ბაზრობაში.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა არ ჩასთვალა მიზანშეწონილათ უცხოეთის ფირმების მონაწილეობა ბაქოს ბაზრობაში. მაგრამ კომისარიატი არ აკრძალავს ევროპიელ საქონლის ყიდვა-გაყიდვას ბაზრობაში, რამდენათაც ეს საქონლები საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე იქნებიან და თუ ისინი საერთო საბაჟო წესების თანახმათ არიან შემოტანილი. ამ დადგენილების მოტივებია შემდეგი. ბაქოს ბაზრობას მიზნათ აქვს საბჭოთა რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთის ბაზრების დაახლოვება. გარდა ამისა ამიერ-კავკასიის საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის მიზანია ევროპიელ საქონლების იმპორტის მინუმუმამდე შემცირება და მესამე მოტივია ის, რომ ევროპიულ საქონლების შემოზიდვა ბაქოს ბაზრობაში არა თუ ეწინააღმდეგება საბჭოთა მრეწველობის ინტერესებს, არამედ ხელს შეუწყობს ევროპის კოლონიალურ პოლიტიკას აღმოსავლეთის ბაზრების მიმართ.

ბაქოს ბაზრობა.

სასურველათ არის ცნობილი ბაზრობის დროს ბაქოში თათბირის მოწვევა სპარსეთის ფირმების წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც განხილული იქნება საბჭოთა რესპუბლიკებისა და სპარსეთის შორის ვაჭრობის საკითხები.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

ფქვილი ყუბანის და ადგილობრივი, ჩაი, საპონი მარსელის, ფქვილი „დურუმ", სპილენძი, კალა, თუჯი, რკინეული, ჩაი ჩაქვის მამულების, მარილი, თამბაქო, ცელები, შოკოლადი, ერბო, ბაწარი, ლურსმანი, ფანჯრის მინები, წუმწუმა რუსეთის, ბაწარა წვრილი, ცხვრის ნაწლევები, სკიპიდარი, ცემენტი, ხორბალი, ფაიფური, მანუფაქტურა, მატყლი, სოდა კაუსტიური, პილპილა სინგაპურის.

ბირჟის მოთხოვნილება,

თამბაქო, ბრინჯი, ხორბალი, ჩაი, ტყავეული ნედლი, შაბიამანი, ნაწლევები, პარაფინი, მზესუმზირას ზეთი, რუსეთის მანუფაქტურა, საპნის სუროგატი, რეზინო ტრესტის ნაწარმოები, ჯაგარი, ბამბა, მარილი ნახიჩევანის.

ბაჟი აბრეშუმის პარკზე,

აბრეშუმის პარკზე დაწესებულია ბაჟი 2 მანეთი ოქროთი გირვანქაზე, ე. ი. ამკრძალავი, ვინაიდან შეუძლებელია პარკის მთელი რაოდენობის ადგილობრივ დამუშავება, აუცილებელი ხდება პარკის ნაწილის საზღვარ-გარედ გატანა, რის გამოც გადაწყდა გასატანი ბაჟის ფუთზე 4 მანეთამდი შემცირება.

საქ. „ჩემო"-ს წევრთა საერთო კრება

(მესამე სხდომა).

გრძელდება კამათი ჭიათურის სამრეწველო რაიონებში მისადგომი გზების გაყვანის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი კ. მოდებაძე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თუ რკინის გზა დამოუკიდებლად გაიყვანს ამ გზებს, მაშინ მას უფლება ექნება დააწესოს განსაკუთრებული ტარიფი, რათა დაფაროს თავისი ხარჯები. თუნდაც რომ ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნებოდა მოლაპარაკება რკინის გზასთან და უფლების შემუშავება გზების შემდეგი ექსპლოატაციისათვის.

ამისათვის კ. მოდებაძე უერთდება ა. ჯულელის წინადადებას, რათა საკითხი გადაეცეს განსაკუთრებულ კომისიას.

ი. ვარაზაშვილი ამბობს, რომ საჭიროა არა კომისია, არამედ დირექტივები საერთო კრების, რომელმაც თანხმობა უნდა მისცეს საბჭოს, რათა სპეციალური სესხის საშუალებით აკრეფილ ფულით მიაწოდოს წარმოებას ფინანსები. სესხი იწვევს ნაკლებ უთანხმოებას და მით უფრო ადვილი იქნება მიზნის მიღწევა. აქ საჭიროა მხოლოდ საკითხის პრინციპიალურად გადაჭრა; მისი გადადება სასწრაფო საერთო კრებისათვის არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან შეუძლებლია კრების ახლო მომავალში მოწვევა.

მ. ოგანეზოვი და ა. გაფრინდაშვილი მომხრე არიან კომისიის, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში უნდა დაამთავროს თავისი მუშაობა და წარუდგინოს მოხსენება სასწრაფო საერთო კრებას.

პ. თოფურიას აზრით საკითხი ეხლავე უნდა გადაიჭრას; საჭიროა გადაიდოს 50,000 გირ. სტერლინგი სპეციალურ სესხიდან, ხოლო კომისიამ უნდა აწარმოვოს პრაქტიკული მუშაობა პრინციპიალურად გადაჭრილი საკითხის შესახებ.

კ. თუმანოვი ფიქრობს, რომ კრება, როგორც სჩანს იმის მომხრეა, რომ გზის გაყვანა მიენდოს რკინის გზას. „ჩემო"-ს მონაწილეობა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ის დახმარებას გაუწევს რკინის გზას სესხის მიცემით. ამისათვის საერთო კრებამ უნდა მისცეს საბჭოს განსაზღვრული თანხა 50,000 გირ. სტერლინგის რაოდენობით. თუ რკინის გზა არ მიიღებს მისთვის წარდგენილ პირობებს, მაშინ მოწვეული უნდა იქნეს სასწრაფო საერთო კრება, რომელიც გაეცნობა საკითხის მდგომარეობას.

იმ საკითხის შესახებ, თუ ვის უნდა დაევალოს ყველა ამ დადგენილებათა შესრულება, კ. თუმანოვი მომხრეა მიენდოს ეს საბჭოს, რომელიც თავის მხრივ ჩააბამს საქმეში ყველა დაინტერესებულ პირებს და დაწესებულებებს.

კრების თავმჯდომარე ს. ფიცხელაური აღნიშნავს, რომ „ჩემო"-ს, როგორც მთლიანი ორგანიზაციის, მონაწილეობის მოწინააღმდეგეები, ამ საკითხში განიყოფებიან ორ ბანაკად: პირველნი ასაბუთებენ თავიანთ უარს საშუალებების უქონლობით, ხოლო მეორენი წინააღმდეგნი არიან საშუალებების ძალების. მაგრამ ერთიც და მეორეც უნდა სდუმდეს, ვინაიდან მისადგომი გზების ქსელი დიდ სარგებლობას მოუტანს ყველა მრეწველებს, ზოგს უშუალოდ, ზოგსაც არა პირდაპირ.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვის გადაეცეს შესასრულებლად, საბჭოს თუ კომისიას, არ არის არსებითი, მაგრამ რადგან მოგვეპოება სათანადო აპარატი საბჭოს და დირექციის სახით, უსათუოდ ეს მათ უნდა გადაეცეს და დაევალოს, რათა ეს შესრულებული იქნეს სასწრაფოდ.

საკითხის გამორკვევის გამო ის, ვარაზაშვილი მოითხოვს კენჭი ეყაროს შემდეგ ფორმულას: „ჭიათურის სამრეწველო რაიონებში მისადგომი გზების გაყვანის დაუყოვნებლივ განხორციელების საჭიროების გამო, დაევალოს საბჭოს გამართოს სასწრაფო მოლაპარაკება რკინის გზის სამმართველოსთან ამ გზების გაყვანის თავის თავზე მიღების შესახებ.

„გზების გაყვანის ტეხნიკურ და ფინანსიურ მხარეების გამოსარკვევად და აგრეთვე რკინის გზის სამმართველოს მიერ გაყვანის და ექსპლოატაციის პირობების შესამუშავებლად, დაევალოს საბჭოს დაარსოს სპეციალური კომისია, რომელშიაც შევლენ სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი კ. მოდებაძე და ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე ი. ბაქრაძე. ამავე დროს სახეში უნდა იქნეს მიღებული, რომ თუ რკინისგზის სამმართველო არ მიიღებს ფინანსების მიწოდების პირობად სესხს 50.000 გირ. სტერლინგის რაოდენობით, დაევალოს საბჭოს სასწრაფოდ მოიწვიოს საერთო კრება და გააცნოს მას მოლაპარაკების შედეგი. ხოლო თუ მიღწეული იქნება შეთანხმება რკინის გზის სამმართველოსთან, მაშინ დაევალოს საბჭოს გზების გაყვანის განხორციელება". ვარაზაშვილის ფორმულა მიღებულია ხმის უმეტესობით.

ტუბერკულოზის სამდღეული

სახელმწიფო ძალების და საშვალებების უმაღლეს წერტილამდე დაჭიმვის დროს, როდესაც მთავრობის მიერ ყველაფერი სამეურნეო ფრონტის აღსადგენად არის ამოძრავებული, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მშრომელ ხალხის ფიზიკურ მდგომარეობისთვის.

სამეურნეო ფრონტი, რომელიც მოწოდებულია იმპერიალისტური ომით დანგრეული სასოფლო მეურნეობის და ქალაქის მრეწველობის აღსადგენათ, ითხოვს ფიზიკურად ჯანსაღ მუშაკებს.

სად იმალება ის საფრთხე, რომელიც ემუქრება ხალხის ჯანმთელობას? სოციალურ სნეულებებში, რომელთა შორის ტუბერკულიოზი (ჭლექი) განსაკუთრებით ძირს უთხრის ხალხის ორგანიზმს და გადაშენებისკენ მიჰყავს მოსახლეობა. მეცნიერების გამოკვლევა და ისტორიის მაგალითები ადასტურებენ, რომ ეპიდემიებს არ მოუტანია იმდენი ზარალი მოსახლეობისათვის და არ შეუწირავს იმდენი მსხვერპლი, რამდენიც ზარალი მოიტანა ჭლექმა და რამდენი იმსხვერპლა მან.

ტუბერკულიოზი უპირველესად მშრომელთა მასსების სნეულებაა. რამდენადაც მძიმეა მშრომელთა ცხოვრების პირობები, იმდენად ახლოს სდგას მათთან ჭლექი, იმდენად უფრო ძლიერად ვრცელდება მათ შორის ტუბერკულიოზი... ჭლექი—მშრომელი ხალხის მტერია, ტუბერკულიოზი უშუალოდ ემუქრება მუშებს და გლეხებს—ამ საბჭოთა ხელისუფლების ბჯეს, ამისათვის სწორედ, მუშურ-გლეხური ხელისუფლების ბატონობის დროს მიღებულ უნდა იქნეს ენერგიული და რადიკალური ზომები ტუბერკულიოზის მოსასპობათ.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა მთელი მოსახლეობის დაცვა დავალებული აქვს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შემდეგი ლოზუნგით:

„მშრომელთა ჯანმრთელობა თვით მშრომელთა საქმეა".

ამ ლოზუნგის განხორციელებით, მშრომელნი, ჯან. სახ. კომ-თან ერთად ქმნიან ერთიან ფრონტს სნეულებათა საწინააღმდეგოთ, და კერძოთ ტუბერკულიოზის საწინააღმდეგოთ. ჯანსახკომი იღებს ტუბერკულიოზის ბრძოლის დროშას, ტუბერკულიოზის სამდღეულის დროშას წარწერით „ძირს ტუბერკულიოზი".

მაისის 12, 13 და 14 დღეები შეადგენს ძალთა და საშვალებათა მობილიზაციის დღეებს ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო ფრონტის შესაქმნელად.

მნიშვნელობა ტუბერკულიოზის სამდღეულისა, რომელსაც აწყობს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, დიდია მშრომელთათვის და მოსახლეობისათვის. ტუბერკულიოზის სამდღეულის დღეებში ჯანსახკომმა და მშრომელებმა მკვიდრი საფუძველი უნდა ჩაუყარონ ტუბერკულიოზთან ბრძოლის საქმის მოგვარებას.

ტუბერკულიოზის სამდღეული უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს ტუბერკულიოზთან ბრძოლის სპეციალურ დაწესებულებების მოგვარებაში და გახსნაში, როგორიცაა: დისპანსერები, სანატორიუმები, დიეტიური სასადილოები და სხვა, რომელნიც დიდ როლს ასრულებენ ტუბერკულიოზის აქიმობის საქმეში და თითქმის მის მოსპობაშიც. ტუბერკულიოზის სამდღეულმა უნდა ჩაუყაროს მკვიდრი საფუძველი მშრომელთა და მოსახლეობის ტუბერკულიოზიდან დახსნას. ტუბერკულიოზის სამდღეულის დროს მშრომელებმა და მოსახლეობამ უნდა გამოიჩინონ შეგნების და თვითმოქმედების მაქსიმუმი და თავისი აქტიური დახმარებით მისცენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ტუბერკულიოზთან ბრძოლის ფართოდ მოწყობის შესაძლებლობა.

ღირებულება მატერიალურ დახმარებისა, რომელსაც აღმოუჩენს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს ამ დღეებში სახელმწიფო, სამნეო ორგანოები, ტრესტები, ორგანიზაციები, მშრომელნი და მოსახლეობა, იქნება მაჩვენებელი მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისა.

ექ. ნაზარეტიანცი.

წითელ ჯარში

ბრძანება.

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტიკური განყოფილებისა.
ქ. ტფილისი, 4 მაისი 1923 წ.
№ 55.

ქართულ დივიზიის ნაწილების შევსება 1901 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის ჯარში გაწვევით უკვე დასრულდა.

აღფრთოვანება და ერთსულოვნება როგორიც იყო ამ ჟამად ჯარში ახალგაზრდობის გაწვევის დროს. სოფლისა და ქალაქის მუშები, შრომისა და ჯაფის ეს ღვიძლი შვილები, წითელი დროშებით, სიმღერით აღმრიცხველ და მიმღებ პუნქტებში მისვლას ერთი მეორეს ასწრებდნენ და წითელ ყაზარმებისაკენ მიეჩქარებოდნენ. საქართველოში ახალგაზრდობის ჯარში გაწვევამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ რა ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლება და მისი დამცველი წითელი ჯარი სოფლისა და ქალაქის მუშებისათვის.

დღეიდან ქართულ დივიზიის ცხოვრებაში იწყება მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი ნორჩი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ქართულ დივიზიაში სამხედრო და პოლიტიკური მუშაობა დღეს უნდა გაასკეცდეს და სულ მოკლე ხნის ვადაში თავიანთ ოჯახებს უნდა დაუბრუნონ უკვე შეგნებული, წერა კითხვის მცოდნე, პოლიტიკურად საღათ მოაზროვნე და

სახელოვან ჯარის რიგები კვლავ შეივსო და ჩვენს წითელ ყაზარმებში, უკვე სწავლება დამთავრებული, კომუნისტურად აღზრდილი ძველი ჯარის კაცები უვადო შვებულებაში წავიდნენ, რომელთა ადგილი უფრო ახალგაზრდობამ დაიჭირა.

ჯერ საქართველოს არ ახსოვს ის სამხედრო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა.

ამისათვის უბრძანებ დივიზიის ნაწილების სამხედრო კომისრებს, პოლიტ ხელმძღვანელებს და კოლექტივის მდივნებს გააძლიერონ ერთი ორად პოლიტიკური მუშაობა ნაწილებში.

ამ თავიდანვე აღკვეთონ დეზერტირობა. ამ ნაწილებში, რომელშიც ადგილი ექნება იმ მოვლენას ან დაუდევრობას უფშემადგენლობისა თუ პოლიტ-შემადგენლობისას დამნაშავენი სასწრაფოთ მიეცეს პასუხისგებაში.

იქმნეს დღეს დამკვრელ სამუშაოთ აღიარებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

სასწრაფოთ შეისწავლონ ჯარის კაცებმა ინტერნაციონალის გალობა და ყველა საჭირო სადღეისო პოლიტიკური კითხვები. გაიბას კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი პოლიტ-ხელმძღვანელების პოლიტიკურ განყოფილებასთან.

სარდლობისა და პოლიტ ხელმძღვანელების ერთსულოვანი მუშაობით განვითარდეს დივიზიაში როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნა. თავის დროზე მოხსენდეს პოლიტ-განყოფილებას ყოველივე უბრალო შემთხვევაც კი, მის მიერ შესაფერი ზომების მისაღებად.

ბრძანება ესე წაკითხულ იქმნას ყველა ასეულებში, ესკადრონებში, ბატარეიებში და ყველა მცირე გუნდებში.

პოლიტ-განყოფილების უფროსი და დივიზიის სამხედრო კომისარი: **თენგიზ ჟღენტი.**

ქართველი ოფიცრების რეზოლუცია

ქართულ დივიზიის პარტიულ ოფიცრობამ მოვისმინეთ რა ჩვენ საერთო კრებაზე, 21 აპრილს ამხ. თენგიზ ჟღენტის, ეგოროვის და სხვების მოხსენება „მიმდინარე მომენტის და ქართულ წითელ ჯარის" შესახებ, ვადგენთ შემდეგს:

საერთო ძალღონით 2 წლის დაუღალავი შრომით დ ენერგიის გაღებით საბოლოოთ ჩამოყალიბდა და განმტკიცდა საქართველოს წითელი ლაშქარი. ჩვენი მტრების ყოველივე ცდა, რათა ხელი შეეშალათ ქართული წითელი არმიის შექმნისათვის უნაყოფოთ ჩატარდა. წითელი სარდლობა არა თუ არ წამოეგო მტრების ანკესზე, პირიქით ის ერთგულად დადგა თავის სადარაჯზე და უპასუხა მათ მედგარი შეტევით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჩოლოყაშვილის ბანდების დამარცხების დროს.

მთელი ქვეყნის მშრომელთა გასაგონად ჩვენ დღეს აქ ვაცხადებთ, რომ ქართული წითელი ლაშქრის სარდლობა კარგა ხანია დარწმუნდა პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის სიდიადეში და დაადგა ჭეშმარიტ გზას.

დღეიდან ჩვენ ქართული წითელი სარდლობა არ დავზოგავთ ენერგიას, გამოუზარდოთ ღირსეული წითელი დამცველი მუშურ-გლეხურ ხელის უფლებას და ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს, იმ ახალგაზრდობისაგან, რომელიც ყოველ დღიურათ ავსებს ჩვენი ჯარის რიგებს.

ამასთანავე ერთად წითელი სარდლობა აღნიშნავს ევროპის მდგომარეობას, იქ დაწყებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ რღვევას და საბჭოთა დიდი კავშირის თანდათანობით პოლიტიკურად და ეკონომიურად გაძლიერებას, რაც არის გამართლება კომუნისტების პროგრამისა.

ქვეყნის მშვიდობიანობისათვის, ეკონომიურ წინსვლისათვის და მუშათა კლასის კულტურულათ განვითარებისათვის საჭირო საბჭ. ხელისუფლების განმტკიცება და უარყოფა ყველა საბჭოთა მოწინააღმდეგე პარტიების. ჩვენ უპარტიო სარდლობა ვიღებთ რა დიდ პასუხისმგებლობას მუშების წინაშე და ვდგევართ რა საბჭოთა პლატფორმაზე, გულწრფელად ვაცხადებთ, რომ ჩვენ მტკიცეთ დავიცავთ მუშურ-გლეხურ წესწყობილებას და დავიმსახურებთ მუშების და გლეხების სიყვარულს, ამისთვის არ დავზოგავთ ჩვენ სწავლას და ცოდნას წითელ ჯარის შესაქმნელად.

დღეიდან არვინ გაბედოს ქართველი ოფიცრების სახელით ლაპარაკი და რაიმე ჩირქის მოცხება ქართველი სარდლობისათვის ხოლო ყველა ის, ვინც არ დაამტკიცებს ერთგულობას და ჩაიდენს ღალატს წითელ ჯარისა და მთელი საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, იქმნეს განდევნილი წითელი სარდლობის რიგებიდან და დეე საბჭოთა კანონმა დასაჯოს სასტიკად, როგორც მოღალატე მუშათა კლასის და კონტრ-რევოლიუციის მეგობარი.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა კლასს.

გაუმარჯოს ქართულ წითელ ჯარს.

გაუმარჯოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, ინტერნაციონალურ წითელ ლაშქარს და მის სარდლობას

კამოს სახელობის საბავშვო სახლი

კამოს სახელობის საბავშვო სახლში ვითვლებით სამოცამდის ბავშვი, რომელთა შორის არიან ქართველებიც, სომხებიც და რუსებიც. ჩვენ დავიწყეთ მზადება პირველ მაისისათვის, ამ დღის პატივი უნდა გვეცა ყველასათვის დაუვიწყარი მუშაკისა და რევოლიუციონერი, განსვენებული კამოს საფლავისათვის.

დილის ცხრა საათზე დამწკრივებული ხელმძღვანელ მასწავლებლებთან ერთად წავედით კამოს საფლავისაკენ (პუშკინის ქუჩაზე), საფლავი შევამკეთ ყვავილებით. ბავშვებმა გამოსთქვეს თავ-თავისი აზრი კამოზე, ამავე სახლის ქართველი ჯგუფის მოწაფე გ. შარაშიძემ წაიკითხა თავისი საკუთარი ლექსი, რომელიც ქვემოდ მოგვყავს.

კ ა მ ო ს.

ირგვლივ ლხენა ბუნებაში
ერთსულოვნათ ხალისია
დღეს მშრომელთა დღეობაა
დღეს პირველი მაისია.
მშრომელები ისწრაფვიან
შეეგებონ გაიხარონ,
უსამართლო ცხოვრებიდან
სურთ რომ თავი დაიფარონ.
შენ კი გძინავს, მუდამ ფხიზელს
მოგპარვია შავი ძილი,
ვხედავ, ვერც კი შეგიტყვია
მშრომელთ უდგას დღეს ქორწილი.
ირგვლივ ლხენა, საამო ხმით
ჭიკჭიკი და ლხინის სტვირი
ყველა ხარობს შენ კი გძინავს
გულ ამოსკვნით მიტომ ვსტირი.

შემდეგ დამწკრივებული ბავშვები სახლში დავბრუნდით.

ბიჭი ბეხო.

ქრონიკა

ქალაქის ალმასკომში.

— **შკოლის შეკეთება.** ქალ. ალ. განათლების განყოფილებამ დაადგინა ეთხოვოს სამაზრო ალმასკომებს საზოგადოებების დახმარებით, არდადეგებში შეაკეთონ შკოლების შენობები. ალმასკომის მიერ გაღებული თანხა შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ ულარიბეს საზოგადოების სკოლების შეკეთებას.

— **საბავშვო სახლები.** ამავე განყოფილებამ დაადგინა დაარსდეს კომისია, რომელიც გამოარკვევს საბავშვო ბაღების განტვირთვის საკითხს, რადგან უკანასკნელ ხანებში ბავშთა სახლებში საგრძნობლად გამრავლდა ბავშთა რიცხვი და საჭიროა მათი რიცხვის შემცირება.

შრომის ბირჟა.

— **უმუშევრები.** 3 და 4 მაისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 2935 უმუშევარი—ამათგან დედაკაცი 1388, მამაკაცი—1547 ჩაეწერა ახალი უმუშევრები—40. გაიგზავნა სამუშაოზე—80—დედაკაცი 26, მამაკაცი—54.

კრებები და მოხსენებები

— **სახ. სამეურნეო საზოგადოებაში.** დღეს 16 მაისს, დილის 11 საათზე, საქართველოს სას. სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე (ბარიატინის ქუჩა, № 5) მევენახეობის სპეციალისტი სოლომონ ჩოლოყაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „მევენახეობის მდგომარეობა საქართველოში". მოხსენების შემდეგ მოხდება აზრთა გაცვლა გამოცვლა. დასწრება ყველასათვის თავისუფალია.

— დღეს, 6 მაისს, საღამოს სრულს 7 საათზე, ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ., № 46) შესდგება ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგი კრება, სადაც წაკითხული იქნება მოხსენებები: 1. ვარ. თოფურიას მიერ „გომარულის ფონეტიკა" და 2. სიმ. ჯანაშიას მიერ „ღმერთი" სიტყვის შესატყვისობისათვის აფხაზურში". დასწრება ყველასათვის თავისუფალია.

სხვა და სხვა.

— **მტკვარის გადიდება.** ბორჯომის ალმასკომის თავმჯდომარე გუშინ დეპეშით ატყობინებდა თბილისის ქალაქის ალმასკომს, რომ მტკვარი ძლიერ მატულობსო.

— **ულუფების ფასი.** სასურ. კომისარიატის დადგენილებით სახ. დაწესებულებებმა რომელთა მოსამსახურეები ღებულობენ ულუფებს—აპრილის ანგარიშში უნდა გამოურიცხონ თვიური ხელფასიდან—ერთ ფუთ ყუბანის ფქვილში—595 ათასი მან., ფუთ ადგილობრივ ფქვილში—525 ათასი მან., ყუბანის ხორბალში 455 ათ., ადგილ.—420 ათ. მან.

შემთხვევა.

— **თვითმკვლელობა** 30 აპრილს ავლაბრის ქუჩაზე (№ 3) მცხოვრებმა მოქალაქე პარკაძემ თავი მოიკლა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **უბედური შემთხვევა.** მე-7 სამილიციო უბანში სახლის მესამე სართულიდან გადმოვარდა 8 წლის ბავშვი, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

შეცდომის გასწორება. წერილი ია კარგარეთელის იუბილეს შესახებ, რომელიც კორექტურული შეცდომით ხელმოუწერელი გავიდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში, ეკუთვნის **საიუბილეო კომიტეტს.**

ხელოვნება

ხუთშაბათი, 3 მაისი.

ნ. დავითაშვილის ბენეფისი. „მადამ სან ჟენ" პიესა 4 მოქმედებათ სარდუსი.

კორსიკელ სერჟანტის ბონაპარტეს უცნაურმა გენიამ თავის დროზე ბევრი მწერალი დააინტერესა. ბევრი ლეგენდებია შექმნილი ამ, ბედის მიერ უკანასკნელ სიმაღლემდე აყვანილ და ჩქარა მიწაზე დანარცხებულ პიროვნების ირგვლივ, მაგრამ მის ჩქეფარე ცხოვრებაში ბევრი იყო ისეთი შემთხვევა, რომელიც ადვილად შეიძლებოდა მხატვრულ შემოქმედებისათვის გამოეყენებია რომელიმე მწერალს. სარდუსმაც ისარგებლა ნაპოლეონის ცხოვრების ერთი ეპიზოდით და ამაზე ააშენა პიესა „მადამ სან-ჟენ", რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე ნინო დავითაშვილმა 3 მაისს თავის საბენეფისოთ წარმოგვიდგინა.

ნინო დავითაშვილი ეკუთვნის ქართველ მსახიობთა იმ ბრწყინვალე პლეიადას, რომელსაც ჩვენში ლადო მესხიშვილი მეთაურობდა: ლადო მესხიშვილი, ნინო ჩხეიძე და სხვები, აი სახელები, რომელთა გვერდითაც იდგა ნინო დავითაშვილი და ღირსეულად ეწეოდა მსახიობის მძიმე ჭაპანს ქართული დრამატიული ხელოვნების ნიადაგის გასამაგრებლად და ქართველი მსახიობის რეპუტაციის ასამაღლებლად. ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ნ. დავითაშვილი ერთგულად ემსახურება მშობლიურ სცენას და ამ ხნის განმავლობაში ბევრი გაჭირვება და ტანჯვა უნახავს მას. დღეს მისი ნიჭის გაფურჩქვნის დრო გადავიდა: ამ 10—15 წლის წინათ მისი ნიჭი კულმინაციურ წერტილამდი ავიდა და მაშინდელი სეზონები თბილისსა და ქუთაისში, ალბათ, ბევრს ეხსომება, ბევრი დამტკბარა მისი არტისტიული შემოქმედებით და მის მიერ შექმნილი მხატვრული ტიპები დაუვიწყარია დღესაც.

ნინო დავითაშვილი მძიმე წელთა დაზიდულობის გამო ძვირათ ესტუმრება ხოლმე ჩვენს სცენას, მაგრამ მის თამაშში მაინც არის ახალგაზრდული სურნელება და უშუალო განცდა, ამიტომ ზედმეტი არ არის, რომ მსახიობს გაუმართეს არტისტიული დღესასწაული, მით უმეტეს, რომ დავითაშვილმა ხანგრძლივი მუშაობით დაიმსახურა ეს.

საანგარიშო საღამოს მსახიობი გამოვიდა ერთ თავის საუკეთესო როლში. მადამ სან-ჟენის როლი ფართო საშუალებებს აძლევს მსახიობს თავის ნიჭის გაშლელად. ნ. დავითაშვილმა თავიდანვე სწორი ტონი აუღო ნაკისრ როლს და ბოლომდე პირნათლად მიიყვანა ის. მსახიობმა სწორად გაიგო მრეცხავი ქალის ფსიქოლოგია, რომელიც რევოლიუციის წყალობით დანციგის ჰერცოგის მეუღლე გახდა და მშვენივრად ჩაატარა ნაპოლეონის ამაყ დებთან შეხვედრის სცენა. მსახიობს ჰქონდა ბევრი კარგი მომენტები, იყო როლის შეგნება და განცდა; უნდა ავღნიშნოთ, რომ ალაგ-ალაგ მსახიობს აკლდა სიცოცხლე და სიმკვირცხლე, რომელიც ასე დამახასიათებელია ფრანგი ქალების, მაგრამ ეს, ალბათ, დროთა სვლის ბრალია და მსახიობსაც არ შეეძლო თავის ბუნების დათრგუნვა. მეორე მთავარი როლის ამსრულებლად ამ საღამოს ჩვენ პირველად ვნახეთ ნიჭიერი გიორგი დავითაშვილი (ნაპოლეონ ბონაპარტე). გარეგნობა, გრიმი და ჟესტიკულიაცია ნამდვილი ნაპოლეონის იყო. საკმარისი იყო პირველი გამოსვლა მსახიობის სცენაზე, რომ ჩვენს თვალწინ წარმომდგარიყო კაცობრიობის საშინელი გენია, რომლის წინაშეც შიშის ჟრუანტელით იკეცებოდა მთელი ევროპა. არც ერთი ზედმეტი ხელის გაქნევა, არც ერთი უადგილო ხმის ამაღლება თუ დადაბლება,—მსახიობმა მოგვცა ნამდვილი სახე კორსიკელ სერჟანტის, რომელმაც საშინელ ომებში დაიმსახურა იმპერატორის სახელი და რომლის შეჭმუხნილ შუბლზე ხანდახან სასიამოვნო ნაოჭიც გაიხსნება. ეს როლი მოითხოვს მსახიობისაგან ნერვების უდიდეს დაჭიმვას, რომ ის დაუახლოვდეს ისტორიულ პიროვნებას და მთლიანი სახე მოგვცეს მისი. სჩანს, რომ მსახიობს დიდი შრომა დაუხარჯავს ამ როლზე და სავსებით დაუმუშავებია ის. გიორგი დავითაშვილი გამარჯვებული გამოვიდა ამ ღამეს და გასაკვირი არ არის, რომ ნინო დავითაშვილთან ერთად ისიც იზიარებდა დაფნის გვირგვინს.

დანარჩენ აღმსრულებელთაგან ჩვენ მოგვეწონა აკაკი ვასაძე (ნეიტერი). მიუხედავათ იმისა, რომ ეს მსახიობი ყოველდღე გამოდის წარმოდგენებში, ის მაინც ბეჯითად ეკიდება თავის საქმეს და სიმპატიებიც დაიმსახურა საზოგადოებაში. ამ საღამოსაც კარგი სურათი დაგვიხატა მან შეურაცყოფილ მხედრისა და ჩვენც მადლობისა და პატივისცემის მეტი არა გვეთქმის რა.

სუსტი იყვნენ შ. ლამბაშიძე (დანციის ჰერცოგი და მარშალი), ალ. ჟორჟოლიანი (ცეკვის მასწავლებელი) და ქალთა პერსონაჟების ყველა აღმასრულებელნი.

პლ. კორიშელს, მართალია, დიდი როლი არ ჰქონდა, მაგრამ ასეთ როლებისათვის (პოლიციის უფროსი) მას აქვს საკმაო ნიჭი და ამ საღამოსაც მისგან მეტს მოველოდით.

მობენეფისეს დიდი ოვაციებით შეხვდნენ და მეორე მოქმედების შემდეგ სცენა ცოცხალი ყვავილებით აავსეს.

თეატრალი.

— **ახალი მწერლობის „პოეზიის დღე".** დღეს, ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ახალი მწერლობის საზეიმო „პოეზიის დღე". საღამოს გახსნის გრიგოლ რობაქიძე. ამავე დღისათვის გამოვა სადღესასწაულო გაზეთი „პოეზიის დღე".

— **მსახიობ ელენე დონაურის ბენეფისი.** ხუთშაბათს, 10 მაისს რუსთაველის თეატრში გაიმართება ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობ ქალის ელენე დონაურის ბენეფისი წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში შილლერის დრამა „მარიამ სტიუარტი". პიესა დაიდგმება ახალი მიზან სცენებით. იკერება ახალი კოსტიუმები და იხატება დეკორაციები.

— **სახალხო სახლის იუბილე.** 10 ივნისს გადახდილი იქნება სახალხო სახლის იუბილე მისი არსებობის დღიდან 30 წლის შესრულების გამო. არჩეულია საიუბილეო კომიტეტი, რომელიც უკვე შეუდგა სამზადის მუშაობას.

— **პოეზიის დღე.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო გამართავს ტრადიციულ პოეზიის დღე'ს 7 მაისს (ხელოვნების სასახლეში). საღამო გაიხსნება დ. არაყიშვილის პოეზიის ჰიმნით, რომელიც განსაკუთრებით ამ დღისთვის არის დაწერილი. ჰიმნს შეასრულებს აკადემიური გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ნ. შიუკაშვილი. შემდეგ მოხდება პოეტების გამოსვლა: ლექსები, მინიატიურები და სხვა. გაიმართება საკონცერტო განყოფილება: სარაჯიშვილის, ინაშვილის, შარაშიძეს, ვასაძის და ელიოზიშვილის მონაწილეობით.

კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით აკადემიური გუნდი შეასრულებს ქართულ სიმღერებს.

თესვის კამპანია

ადგილებიდან მიღებულ ცნობებით გაზაფხულის თესვის კამპანია საქართველოს ყოველ კუთხეში გაცხოველებით მიმდინარეობს. გაზაფხულის ხორბლეულის თესვა დაბლობებში დამთავრდა; ბორჩალოს, თბილისის, ახალქალაქის და დუშეთის მაზრების და სამხრეთ ოსეთის მაღალ ადგილებში კი ჯერ კიდევ გრძელდება.

გაზაფხულის ხორბლეულის თესვა ყველგან მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მეტად ხელსაყრელ კლიმატიურ პირობებში.

ამოსულ ხორბლეულს ყველგან კარგი პირი უჩანს და იმედს იძლევა, რომ წრეულს კარგი მოსავალი იქნება.

ყველა მაზრებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, [illegible] სიმინდის ინტენსიური თესვა.

სათესი მასალის ნაკლებობას არსად ადგილი არ ჰქონია. საშუალო გლეხობამ დასთესა თავისი საშუალებებით, სოფლის ულარიბეს გლეხობას კი მიეცა სათესი სესხი მთავრობისაგან. ის გარემოება, რომ გლეხობა ყველგან უზრუნველყოფილია სათესი მასალით, საუკეთესო გარანტია არის იმის, რომ არც ერთი ნაჭერი გამოსადეგი მიწისა არ დარჩება დაუთესავი.

მ. ვეცი.

პროვინციაში

ა ხ ა ლ ც ი ხ ე

ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგებისათვის.

ა. წ. 19 აპრილს შესდგა ახალციხის სამაზრო ალმასკომის პლენუმის სხდომა. პლენუმზე გაირჩა რამოდენიმე საკითხი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მაზრის ისე მთელი რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრებისათვის. ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ახალციხეში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აშენება. ამ სადგურის შემწეობით შესაძლებელი იქნება ხე-ტყის სახერხი ქარხნის, მრავალთვალიანი წისქვილის, კარაქის საკეთებელი ქარხნის და სხვათა ამოქმედება ერთის მხრივ და მეორეც მთელი ქალაქი ახლავე დაკმაყოფილებული იქნება ელექტრონის სინათლით. ასე რომ ახალციხის ელექტრონული სადგურის აშენება მეტათ წინ წასწევს სამაზრო სამეურნეო აღმშენებლობას.

პლენუმზე გამოირკვა, რომ თვით ალმასკომს აქვს შესაძლებლობა გადასდოს სადგურისათვის 15 ათასი მანეთი ოქროთი. სულ სადგურის აშენებას დასჭირდება დაახლოებით 70 ათასი მანეთი ოქროთი. დანაკლისი ხარჯების დასაფარავად პლენუმმა დაადგინა მიმართოს საქართველოს მთავრობას აიღოს თავის თავზე 40 პროც. ყველა ხარჯებისა; აგრეთვე ეთხოვოს ამიერ-კავკასიის საწყლო მეურნეობას (ЗАКВОДХОЗ) დაუთმოს ალმასკომს აღნიშნული მიზნისათვის 1922 წელში მაზრაში შეკრებილი სამელიორაციო გადასახადი. პრინციპიალურათ ნება დართეს ალმასკომს ელექტრო-სადგურის აქციების გამოშვებისა, რომელნიც უნდა გავრცელდეს ჯერ ადგილობრივ ფართო მშრომელ მასსებს შორის და შემდეგ სახელმწიფოებრივ მეურნეობის ხელმძღვანელ ორგანიზაციებში. პლენუმმა აღნიშნა, რომ ელექტრონის სინათლით უპირველეს ყოვლისა უნდა ისარგებლოს ქალაქის მცხოვრებლებმა და ამისათვის მათი მონაწილეობა სადგურის აშენების საქმეში უნდა გამოიხატოს ვაჭარ-მრეწველობის და სახლის პატრონების იძულებით თითო „ლამპაზე" აბონენტათ ჩაწერაში. თითო „ლამპაზე" ჩაწერა ეღირება ათი მანეთი ოქროთი, რომლის გადახდა შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში სამ ნაწილათ. დაახლოებით იძულებითი ჩაწერამ უნდა მოაგროვოს ათი ათასი მანეთი ოქროთი, რის შესახებ უნდა ეცნობოს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულს საქართველოში. ბოლოს დაევალა ალმასკომს შეუდგეს ეხლავე მომზადებითი მუშაობას, როგორც საჭირო არხების გაყვანისათვის, ისე ქალაქში ქსელის გაბმისათვის.

სხვა საკითხები.

შემდეგი კითხვა გამოიხატებოდა იმაში, რომ ალმასკომის ზოგიერთი განყოფილებანი და ქვე-განყოფილებანი გადასულიყვნენ საკუთარ სამეურნეო ანგარიშებზე. ალმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ლვამიჩავამ აღნიშნა რომ აქამდე ორგანიზაციული მუშაობა დაუმთავრებელი იყო; ეხლა ყველა ორგანიზაციული საკითხები პრაქტიკულათ დადებითადაა გადაჭრილი და შესაძლებლობა არსებობს, რომ ჩვენმა სამეურნეო ორგანიზაციებმა გამოიჩინონ საკუთარი ინიციატივა, გაშალონ ფრთები დამოუკიდებელ სამეურნეო მუშაობაში და მოიშორონ ის ყოველდღიური ოპეკუნობა, რომელსაც აქამდე მათ ალმასკომის პრეზიდიუმი უწევდა. პლენუმმა ეს მოსაზრება დაადასტურა და დაამტკიცა.

ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ თავის მოხსენებაში სხვათა შორის წარუდგინა პლენუმს მოსაზრება აბასთუმანში „დასასვენებელ სახლის" მოწყობის შესახებ. პლენუმმა დაადგინა აბასთუმანში მოაწყოს ახალციხის ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთათვის „დასასვენებელი სახლი" („ДОМ ОТДЫХА"). აღნიშნულ მიზნისათვის აბასთუმნის საკურორტო სამმართველომ დაუთმო ახალციხის ალმასკომს ერთი შენობა (ყოფილი ანანოვის), რომელიც მოითხოვს რემონტს და მოწყობას. ხარჯების დასაფარავათ ხარჯთ აღრიცხვის მიხედვით საჭიროა ოცდა ათი მანეთი ოქროთი. პლენუმმა ეს ხარჯი დაამტკიცა და თან აღნიშნა, რომ იგი უნდა გაინაწილოს ალმასკომთან ერთად დამზღვევ კასამაც. საკითხის პრაქტიკულათ გატარება ცხოვრებაში მიენდო ალმასკომის, დამზღვევ კასის, პროფ-კავშირების და ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენლებს.

პლენუმმა დაადგინა იშუამდგომლოს საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის წინაშე, რათა მშრომელი ხალხის მიერ დაბეჭვილი ეკლესიების ქონება გადავიდეს ახალციხის ალმასკომის განკარგულებაში მაზრაში პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გასაძლიერებლათ.

ამ საკითხებს გარდა კიდევ გადაიჭრა რამოდენიმე მცირე მნიშვნელობის საკითხები.

უნდა აღინიშნოს, რომ პლენუმში მეტათ საქმიანი გამოდგა და დეკლარატიულ სიტყვებს სრულიად ადგილი არ ქონდა მუშაობის დროს.

ჭ. ხუნდაძე.

მუშათა ცხოვრება

უცხოელ ძმებს!

(ძღვნად ევროპის მებრძოლ პროლეტარიატს)

ვიცნობთ მათ დროშას სისხლით შეღებილს
და მათ დარაჯებს, მშრომელთა გმირებს,
ვიცნობთ ჭრილობას მათ გულზე დასმულს,
მათ თავზე დადებულს წითელს გვირგვინებს!

—

ვიცნობთ დიდი ხნის ბარიკადებზე
იმათი ძვლებით მოფენილს ველებს...
ხან გამარჯვებას, ხან დამარცხებას...
ხანგრძლივი შრომით დაკოჟრილ ხელებს.

—

ეხლა შებმულნი უთვალავ მტრებთან
მედგრად იცავენ წმინდა უფლებას,
კიდევ ზვარაკად ეწირებიან
წმინდა კომუნას, თავისუფლებას!

—

ვინც დაეცემა ბრძოლის ქარ-ცეცხლში,
მათ ისტორია გულში ჩაიკრავს,
როს ყველა ქვეყნის ჩაგრული ხალხი
სოციალიზმის საყვირს დაუკრავს!

—

როს დედა-მიწის ყოველს კუთხეზე
გლეხი და მუშა დროშას წაიღებს,
მთელი მსოფლიოს წითელი ჯარი
ძალა-უფლებას ხელში აიღებს,

—

ვაშა იმ გმირებს, ვინც ჩაგრულთათვის
თავგანწირული მიეშურება,
დაიხსნის მოძმეს მტრის კლანჭებიდგან
და თვით ზვარაკათ შეეწირება!

მუშა ვახილ როინიშვილი.

კინო-თეატრების მუშა-მოსამსახურეთა შორის

მეორე რაიონის ორ კინო-თეატრს აქვს საკუთარი ელექტრონის სადგურები, რომელთაგან ერთი ეკუთვნის „კინო-პალასს“ მეორე კი „კინო-აპოლოს“ ამ ორი ელექტრო-სადგურების მემანქანეებს შორის არის დიდი განსხვავება სატარიფო ხარისხების მხრივ, როგორც მაგალითად ზოგიერთ (კინო-აპოლო) მემანქანეებს ეძლევა შრომის ხელფასი მე-12 ხარისხით და თანაშემწეთ კი 9 ხარისხით. „კინო-პალასის“ მემანქანეებს კი აქვთ გასამრჯელო მე-8 ხარისხით, აღნიშნული გარემოება მე სრულებით არა ნორმალურად მიმაჩნია და ამის გამო მე მინდა შევეკითხო კავშირ „რაბისს“ თუ რა მოსაზრებით არის დაწესებული ასეთი განსხვავება ორ ერთ და იგივე სამუშაოს შორის. მე კარგად ვიცი, რომ ორივე სადგურების ხელოსნები ერთ და იგივე კავშირის („რაბისში“) წევრებად არიან. მაშ, რად უნდა იყოს განსხვავება მათ შორის? ამ ორი თვის წინეთ „კინო-პალასის“ ერთ მემანქანე ამხ. ი. ლუკიანოვს სიტყვიერად მიემართნა თეატრის გამგისთვის და პასუხად მიიღო, რომ ის ეცდება მას ხელფასი მოემატოს. გამგის გარდა მას მიემართნა სიტყვიერად კავშირისათვის და აქაც იგივე პასუხი მიიღო. მას აქეთ თითქმის ორი თვე სრულდება არავითარი დაპირებული მომატება ჯერ-ჯერობით არა სჩანს. მოთმინებიდან გამოსულმა ამხ. ი. ლუკიანოვმა აპრილის რიცხვებში, წერილობითი განცხადება შეიტანა რაიკომში. სასურველია, რომ ზემოხსენებული ორგანოები ამ ახლო მომავალში შეუდგენ მეორე რაიონის ყველა „კინო-თეატრების“ და მათი ელექტრო-სადგურების მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო ხარისხის გათანასწორებას.

მუშა—კორ. გ. მ—შვილი.

საქციზო სამმართველო

ა. წ. 28 აპრილს საქციზო სამმართველოს შენობაში შესდგა ამავე სამმართველოს თანამშრომელთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა მოხსენება: 1) სამმართველოს ბინაზედ სამკითხველო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ და 2) არაზინდოს კურორტზედ ბინების შესაკეთებლად წვლილის გაღების შესახებ. კრებას დაესწრო 80-დე თანამშრომელი.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის შესახებ მოხსენებას აკეთებს კულტსექციის თავმჯდომარე ამხ. ტატიშვილი, რომელმაც აღნიშნა თუ რა ენერგია დაუხარჯავს კულტსექციას ხსენებული ბიბლიოთეკის მოსაწყობად. მოხსენებამ მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. კრებამ ერთხმად მიიღო ადგილკომის მიერ წამოყენებული წინადადება, ბიბლიოთეკის პირველ მაისობის სახელობაზედ გახსნის შესახებ და დაადგინა—1-ლ მაისს დილის რვა საათზედ მოაწყონ საზეიმო გახსნა, რაც უკვე სისრულეში იქნა მოყვანილი. არაზინდოს კურორტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ხანაგი ნაცვლიშვილი, დამატებითი მოხსენება ამავე საკითხზე გააკეთა აგრეთვე ამხ. დ. ნასარიძემ. ცოტა კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ კურორტებზე იქნებიან გაგზავნილნი ავადმყოფი მუშა-მოსამსახურეები, საჭიროდ მიგვაჩნია დავეხმაროთ მთავრობას ასეთი დიადი საქმის დასრულებაში, როგორიც არის არაზინდოს შენობის აგება. ამისათვის საქციზო, სამმართველოს თანამშრომლები ვსდებთ თითო დღის მუშაობის ხელფასს მაისის თვის ჯამაგირებიდან“.

მუშკორი მირიან აზიაშვილი.

ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელთა კოოპერატივი

ეს კოოპერატივი დაარსებულია 1917 წელში. თანახმად თავის დანიშნულებისა, კოოპერატივი თავის მომხმარებელ მუშა-მოსამსახურეთ ყოველთვის შესაფერის დახმარებას უწევდა; თავის მხრით მომხმარებელ წევრებიც მუდამ მუყაითად ეკიდებოდენ თავის კოოპერატივის გაჯანსაღებისა და გაძლიერების საქმეს. უკანასკნელ ხანებში კოოპერატივის ვაჭრობის ანგარიშიდან სჩანს, რომ ყოველდღიურად აქ ვაჭრობს 300 მომხმარებელი. ფასები პირველ მოთხოვნილების საგნებზე შედარებით საგრძნობლად ნაკლებია. ვიდრე კერძო სავაჭროებში. ხსენებულ კოოპერატივში თანამშრომელთა რიცხვი არის 6 ჯამაგირების მიხედვით ჯერჯერობით აქ არ არსებობს თანამშრომელთათვის მტკიცე სატარიფო ხარისხები სანამ ფულის კურსი დაეცემოდა, აქაურ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა ჯამაგირების მხრივ შედარებით კარგი იყო; ხოლო, ფულის კურსის ამ უკანასკნელად დაცემის შემდეგ, აღნიშნულ თანამშრომელთა ეკონომიური პირობები საგრძნობლად შეიცვალა სხვა საწარმოვო კოოპერატივების მუშა-თანამშრომელთა მდგომარეობასთან შედარებით. ეს აიხსნება იმით, რომ სხვა კოოპერატივებში დღიდან ფულის კურსის დაცემისა დაწესებულ იქნა ჯამაგირების მიცემა საქონლის მანეთის კურსის მიხედვით. ფოსტა-ტელეგრაფის კოოპერატივის მუშა-თანამშრომლებმაც მოითხოვეს, რომ ეკონომიური მდგომარეობით გათანასწორებული ყოფილიყვნენ ისინი საწარმოო კოოპერატივების თანამშრომლებთან. ეს მოთხოვნილება 1923 წ. იანვრიდან უნდა ყოფილიყო დაკმაყოფილებული, რომლის მიხედვითაც კოოპერატივის თანამშრომლებს უნდა მიეღოთ ჯამაგირები საქონლის მანეთის მიხედვით. მაგრამ სხვა და სხვა დაბრკოლებების გამო, დადებული პირობა შესრულებულ იქნა მხოლოდ იანვარში, როდესაც თანამშრომელთ დაურიგდათ ხელფასი საქონლის მანეთის მიხედვით. შემდეგ თვეებისათვის კი მომატებულ იქნა თითოეულ თანამშრომელთათვის მხოლოდ 5 პროცენტი. ამ რიგად ხსენებული თანამშრომლები ჯამაგირების მხრით შედარებით სხვა კოოპერატივების თანამშრომლებთან ცოტას ღებულობენ.

აღნიშნულ თანამშრომელთ იმედი აქვთ, რომ 1 მაისიდან ჯამაგირები მიეცემათ თანახმად დადებული პირობისა, საქონლის მანეთის მიხედვით.

ინფ. კორ. ჩხმელი.

თივაში ცეცხლი არ დაიმალება.

ბნელი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, მის დასაფარავად დედამიწაც, რომ გადაეფაროს.

გასულ წელს ენკენისთვეში თბილისის საქონლის სადგურის მუშებმა შეცდომით შეიტანეს გადასახადის სახით თითომ—475 ათასი მანეთი თბილისის ალმასკომში. ამ ფულის უკან გამოტანა დაევალა „ტრამოტის“ ერთ თანამშრომელთაგანს, რომელსაც ვეკითხები, დაურიგა თუ არა მან ფული მუშებს იმდენი, რამდენიც გამოიტანა და თუ არა, რა მიზეზით?

იმ დარგის ერთი მუშათაგანი.

მუშათა ქრონიკა.

მისაბაძი მაგალითი.

მიმდინარე წლის აპრილში მეორე რაიონის კინო-თეატრების თანამშრომელთა რაიადკომის ხელმძღვანელობით კულტშეფობის სადღესასწაულოდ იქნა გადადებული ზემო ხსენებული კინო-თეატრების ერთი დღის შემოსავალი წითელ ჯარის სასარგებლოდ, რაც გადაეცა დანიშნულებისამებრ კულტშეფობის ცენტრალურ კომისიას, კულტ.-ფონდის გასაძლიერებლად. შემოსავალი ქვემო აღნიშნული კინო-თეატრებისა აღნიშნულ დღის განმავლობაში უდრის: 1) „კინო-პალასისა“—28.400.000 მან. 2) „კინო-აპოლოს“—15:375.000 მან. 3) „კინო-ვარსკვლავისა“—12.310.000 მ. დიდი მადლობის ღირსნი არიან კინო თეატრების მუშა-მოსამსახურეები და რაიადკომი, უსასყიდლო მუშაობისათვის და საგრძნობი შეწირულებისათვის წითელ-არმიელთა კულტკომისის ფონდის გასაძლიერებლად.

ქარელი (გორის მაზრა)

1 მაისს დიდის ზეიმით გაიხსნა აბანო, აშენებული სოფლის ხარჯით და თაოსნობით. ამ აბანოს აშენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლისთვის, სადაც უმეტესობა ისე ესალმება წუთი-სოფელს, რომ აბანო თვალითაც არ უნახავს. ეს პირველი მაგალითია, რომ ქართულ სოფელში აშენებულიყოს აბანო, ტეხნიკურად კარგად მოწყობილი. აბანოს აქვს დეზინფექციის მანქანა, ორთქლის ქვაბი, ვანა, „დუშები“, საორთქლე, ცალკე მოსაცდელი ოთახი და ცალკე გასახდელი. აბანო ააშენა და მოაწყო სოფლის დავალებით ინჟინერმა ი. ლუკაშვილმა სოფლის დახმარებით და ალმასკომის თავმჯდომარის ნ. კალანდარაშვილის ენერგიული შემწეობით.

1921 წლის შემოდგომაზედ ექიმ ტ. ქიქოძის თაოსნობით სასოფლო კრებამ ერთხმად დაადგინა აბანოს აშენება თავისი ხარჯით, რისთვისაც სულზე გაწერა ნახევარი ფუთი ხორბალი. ამ რიგად 1922 წ. შემოდგომაზედ შეგროვდა 500 ფუთი ხორბალი და 200 ფუთიც შესწირა ალმასკომმა. სახალხო ჯანრთელობის კომისარიატი დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმეს და აღმოუჩინა სათანადო დახმარება. დიდი მადლობის ღირსია სან. ეპიდ. განყოფილების მეთაური ექიმი ნაზარეთიანი, რომელიც მუდამ ყურადღებით და თანაგრძნობით ეკიდებოდა ამ საქმეს. იმედია, რომ ქარელის მაგალითს მიჰბაძავენ სხვა სოფლებიც და ამით მოსპობენ იმ უსუფთაობას, რომელიც ბუდეა ყოველგვარ ეპიდემიების და სნეულების.

ამავე დღეს გაიხსნა ახლად აშენებული სოფლის თეატრიც. ხალხი აღტაცებით შეხვდა ამ ამბავსაც, დაესწრო პირველ წარმოდგენას და ვახშმის შემდეგ გამართულ ამხანაგურ ნადიმზე გაისმა ბევრი კარგი სიტყვა, სადაც გამოითქვა სურვილი, რომ ახლო მომავალში აშენდეს სკოლა და ელექტრონის სადგურიც სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქარელს არც ეს გაუჭირდება და ჯეროვნად დააგვირგვინებს სოფლის კულტურულად მოწყობას

დამსწრე.

ბიბლიოგრაფია

„რევოლიუციის მატიანე“.
ისტორიული ჟურნალი № 1)
მარტი 1923 წ.
ს. კ. პ. ცეკას აგიტპროპის გამოცემა.

საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობას მდიდარი წარსული აქვს და მისი ისტორია ჯერაც არ დაწერილა, მასალებიც კი არ შეგროვილა სისტემატიურათ. ბევრი მებრძოლი მონაწილე და ხელმძღვანელი ამ მოძრაობისა უკვე აღარ არის, ბევრი კი დღესაც განაგრძობს საპასუხო რევოლიუციონურ პოსტებზე მუშაობას; სანამ გვიან არ არის უნდა ვისარგებლოთ მათი ცნობებით, მოგონებებით და გადმოცემებით; შევკრიბოთ ისინი და გადავსცეთ ახალ, მოზარდ რევოლიუციონურ თაობას.

ამ მეტად საპასუხისმგებლო და საჭირო საქმეს შეუდგა „რევოლიუციისა და საქართველოს კომპარტიის ისტორიის კომისია“, რომელმაც უკვე გამოუშვა ისტორიული ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“ № 1 და მალე, ალბად, შემდეგ ნომრებსაც ვიხილავთ.

ჟურნალის შესავალში პარტიის ისტორიის კომისია გვაცნობს თავის მიზანს და დანიშნულებას. შემდეგ პირველ წერილში „რუსეთის კომუნისტური პარტიის (ყოფილი „რუსეთის სოციალდემოკრ. მუშათა პარტიის“) პირველი დამფუძნებელი ყრილობა ქ. მინსკში 1898 წ.“ ჩვენ ვეცნობით იმ ჯგუფებს, რომლების გაერთიანებით წარმოიშვა რუსეთის სოციალ-დემოკრატია. აქვე მოყვანილია „წესდების პროექტი პარტიის პირველი ყრილობისათვის“ სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირისა. შემდეგ „მანიფესტის პროექტი“ ამავე ყრილობისათვის და თვით „მანიფესტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა“.

ს. ქავთარაძის მოკლე წერილი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმოშობა“ არკვევს იმ პირობებს და ახასიათებს იმ რევოლიუციონურ ჯგუფებს, რომელთა არსებობის დროს დაიბადა რუსეთის პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შვეიცარიაში, სახელწოდებით „შრომის განთავისუფლება“.

ჟურნალის მე-27 გვერდზე რ. კალაძე იწყებს „მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორიის“ განხილვას, რომელიც მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს და ნათლად ხდის ავტორის იმ აზრს, რომ „მუშათა ქართული ჟურნალ გაზეთის ისტორია მჭიდროთ დაკავშირებულია მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიასთან საერთოდ და საქართველოს მუშათა მოძრაობასთან კერძოთ“.

შემდეგ ავტორი იძლევა ფაქტიურ ცნობებს საქართველოს მუშათა მოძრაობის და მუშათა ჟურნალ გაზეთების შესახებ; ამბობს რომ მე-80 წლებში საქართველოში მოღვაწეობდა „დიდათ განვითარებული და დიდსულოვანი რევოლიუციონერი, ხალხოსნური სოციალისტი **გოლა ჩიტაძე** და ჩვენი დღევანდელი ლიდერი, ამხ. მიხა ცხაკაია **„მუშათა ჟურნალი** (ხელნაწერი) **იმ დროს არსებობდა** როცა **ჯერ** ჩვენში მუშათა მასსიური მოძრაობის ჭაჭანებაც არ იყო“ (33 გვ.) შემდეგ მოკლეთ განხილულია „მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის წინასწარი საზოგადოებრივი მიმდინარეობანი (1860—80 წლ.) და მწერლობა საქართველოში“, ავტორი ამტკიცებს, რომ ჩვენს მწერლობაში სოციალისტურ-ხალხოსნურ რევოლიუციური მიმდინარეობა პირველმა შეჰქმნა ანტონ ფურცელაძემ, რომლის ნაწარმოებთა მთავარი გამომცემელი იყო ზაქარია ჭიჭინაძე. ამ უკანასკნელმა, სხვათა შორის, გამოსცა ხალხური ნაწარმოები „არსენას ლექსი“. ეს ლექსი მეტად ორიგინალური მოვლენაა ქართულ-ხალხურ ლიტერატურაში და „არც ერთი სხვა წიგნი ისე არ გავრცელებულა ხალხში“ (44 გვ.) არსენა ებრძვის ხალხის მტრებს: ჩარჩ ვაჭრებს, ნაბატონარს და ყველა ხალხის შემაწუხებელს „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როდი წაახდენსაო“.

რ. კალაძის წერილი საინტერესო მასალას შეიცავს და ჟურნალის შემდეგ ნომრებში ვნახავთ მის დასასრულს. სამწუხაროდ წერილში ხშირია კორრექტურული შეცდომები.

ს. თალაკვაძეს მეტად საპასუხისმგებლო თემის დამუშავება დაუწყია როგორიცაა: **„საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული** (1870 წლიდან 1905 წლამდე)“. ავტორი იძლევა მოკლეთ იმ რუსეთის პირობების განხილვას, როდესაც იქ ჩაეყარა საფუძველი სოციალისტ-რევოლიუციონურ პარტიებს და იქიდან რევოლიუციონური იდეები საქართველოშიც გადმოდიოდა. გათვითცნობიერების გზაზე შემდგარმა მუშებმა შექმნეს“ „ქარგალთა კავშირი“ (53 გვ.), რომელმაც იმ დროისთვის საპატიო როლი ითამაშა საქ. მუშათა მოძრაობისთვის საფუძვლის ჩაყრაში. ინტელიგენციაც ენერგიულ მუშაობას იწყებს და სცდილობს დაუკავშირდეს მუშათა მასსებს. წერილი დაუსრულებელია და მეტად საინტერესო თემას ეხება.

ამხ. ფ. მახარაძის წერილი **„როგორ გავხდი მარქსისტი** (ჩემი მოგონებათა ერთი გვერდი)“, რომლის მხოლოდ ნაწილია ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილი, აშუქებს მეტად საინტერესო პერიოდს რუსეთის და საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობისას. ავტორი თვით იყო მონაწილე ამ მოძრაობ სა და მისი ცნობები; რომლებსაც მარტო ავტობიოგრაფიას ვერ ვუწოდებთ მეტად ძვირფას მასალას წარმოადგენენ.

ამავე ხასიათისაა ჟურნალში მოყვანილ „რევოლიუციონურ მოგონებათა“ საღამოს სტენოგრაფიული ანგარიშები, სადაც ამხ. ფილიპემ გააშუქა თავისი მდიდარი რევოლიუციონური წარსულის ერთ-ერთი პერიოდი.

გ. ჩხეიძე მოკლეთ გადმოგვცემს ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ზაქარია ჩოდრიშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობას, რის შემდეგ განსვენებულ ზაქარიას ძმა, მიხა ჩოდრიშვილი იძლევა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს მის შესახებ.

ამას მოყვება ავტობიოგრაფიები ლადო დუმბაძისა, თ. კალანდაძისა და ნინა ნიკიტას ასული ალაჯალოვისა.

ჟურნალის განყოფილება „პარტიულ არქივში“ იბეჭდება მეტად საჭირო ისტორიული მასალები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციის ისტორიისთვის. ჟურნალის პირველი ნომრის ამ განყოფილებაში მოყვანილია ამხ. ფილიპე მახარაძის საინტერესო წერილი **„ახალი თინბაზობა,** მენშევიკების „მუშების დელეგაციის“ გამო“. წერილში ნათლად გაშუქებულია მენშევიკების ის ვერაგული პოლიტიკა, როდესაც მათ განიზრახეს საბჭოთა რუსეთში საქართველოს მუშათა კლასის სახელით მხოლოდ თავის პარტიის წევრთა გაგზავნა და შეადგინეს „**Наказ пролетариата Грузии рабочей делегации в Россию**“.

ამავე განყოფილებაში მოყვანილია ძველი პროკლამაციები, რომლებიც არკვევენ პარტიის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხთან ამა თუ იმ დროს.

განყოფილებაში „კონტრ-რევოლიუციის ისტორიიდან“ დაბეჭდილია ერთი საბუთი: „რუსეთის ხალხის კავშირის მთავარ საბჭოს მოწოდება“, სახელმწიფო სათათბიროს მეორე არჩევნების დროს.

ამნაირათ ჟურნალის ეს ნომერი მეტად საინტერესო მასალას შეიცავს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიიდან და მას სიამოვნებით წაიკითხავს ყველა ვინც დაინტერესებული ამ საკითხით.

მ-

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულარი.

ყველა სამაზრო ალმასკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის და აფხაზეთის ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოებს.

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში მოსულ ცნობებით, ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ადგილობრივ ბევრგან ისეთ სახუროთმოძღვრებო ძეგლებსა და შიგ დაცულ სიმდიდრეთ შეეხენ, რომელთაც დიდი სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობა აქვთ.

რათა დაცულ იქმნას ზემომოხსენებული განძები ისტორიისა და კულტურისათვის, თანახმად ს. კ. საბჭოს დადგენილებისა, ა. წ. 21 მარტს, დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც შედიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი და იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.

გაუწყებთ რა ზემოაღნიშნულს, საგანგებო კომიტეტი წინადადებას გაძლევთ—ეკლესია-მონასტერის გაუქმებისა და ჩამორთმევისას მიუცილებლად იხელმძღვანელოთ შემდეგით:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთმოძღვრო ძეგლები დაყოფილია სამ კათეგორიად:

ა) ძეგლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულან, მაგრამ წარწერებითა, არქიტექტურულ ფორმით, თუ სხვა რითმე მაინც დიდ ღირებულებას წარმოადგენენ;

ბ) ძეგლები—ძვირფას განძეულობითურთ, რომელნიც დღემდე ურყევად დგანან და სადაც წარმოებს ან-და უკანასკნელამდე წარმოებდა ღვდელ-მსახურება;

გ) ძეგლები, რომელნიც თავის თავად არავითარ სახუროთ-მოძღვრებო ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ დღემდე შემცველი არიან ძვირფას განძეულობათა.

ზემოთ დასახელებულ ძეგლთაგან პირველ ორი კატეგორიის—სათანადოდ აღნუსხული, შენახული და დაცული უნდა იქნას ისტორიისა და კულტურისათვის და, მაშასადამე, არავითარი შეკეთება, გადაკეთება ან სხვა რაიმე მიზნისათვის მათი გამოყენება, სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა ადგილობრივ დაარსებულ საისტორიო მუზეუმების ადგილი—არ შეიძლება და სასტიკადაც აღკრძალულია.

რაიცა შეეხება თვით ძეგლებში დაცულ განძებს, ისიც სამგვარია:

ა) ჭედვით ხელოვნების კოლექციები: ხატები, ჯვრები და სხვა.

ბ) ქსოვით ხელოვნების ნივთები;

გ) სხვა და სხვა შინაარსის ძველი ხელნაწერები.

პირველ ორ კატეგორიის განძეულობა ღირებულებით ორ ნაწილად იყოფა:

ა) ისტორიულ-მხატვრულ მნიშვნელობის: ძვირფასი ნაზელავი, იშვიათის თვლებით, ქვებითა და წარწერებით შემკული.

ბ) განძეულობა, რომელიც მხოლოდ ნივთიერ ღირებულებას წარმოადგენს.

გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში თავდაპირველად საჭირო და აუცილებელია ყველა განძის აღნუსხვა დამოუკიდებლად მათი ამა თუ იმ ღირებულებისა.

აღნუსხვას აწარმოებენ ადგილობრივ ალმასკომის პასუხისმგებელი ამხანაგები, მცოდნე პირთა თანდასწრებით.

ყველა ნივთი მესამე კათეგორიისა ეკლესია-მონასტრიდან გამოღებული, თუ იგი გაუქმდა, დაუყოვნებლივ გადატანილ უნდა იქმნას, სათანადო აქტის შედგენით, მეორე კათეგორიის იმ ეკლესია-მონასტრებში, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ცეცხლისა თუ სხვა ხიფათისაგან.

ასე უნდა მოხდეს რესპუბლიკის სიმდიდრეთა პირველი მოკითხვა, პირველი რეგისტრაცია, რომელსაც მოჰყვება მეორე ნაბიჯის გადადგმა. სახელდობრ, მთელს რესპუბლიკაში სათან დო პუნქტების ამორჩევა, სადაც დაარსებული იქნება საისტორიო მუზეუმები.

ამიტომ დროებითაც, სანამ საამისოდ სათანადო კომისიები შედგებოდეს, რომელნიც თვითოეულ ნივთის შესაფერ ღირებულებას გამოარკვევენ და საბოლოოდ დაადგენენ, თუ რომელი, მეორე კათეგორიაში მოქცეულ ძეგლთაგანი, უნდა გადაკეთდეს მუზეუმად,—ყველა აღნუსხულ ნივთის მოვლა-პატრონობა ევალება ადგილობრივ ალმასკომის მიერ დანიშნულ პირს—ალმასკომისა და პირველის ურთიერთის პასუხისმგებლობის ქვეშ.

განძთა ნუსხისა და აქტის ერთი ცალი გამოგზავნილ უნდა იქმნას განათლების სახალხო კომისარიატში—სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის საგანგებო კომიტეტისათვის.

აქვე გეგზავნებათ სია იმ ეკლესია-მონასტერთა და საარქეოლოგიო ძეგლთა, რომელნიც დაცულ უნდა იქნან სამეცნიერო მიზნით. დამატებითი ინსტრუქციებს მიიღებთ.

საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე, ს. ს. ს. რესპუბლიკის კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ალ. გეგეჭკორი.

წევრნი: განათლების სახალხო კომისარი:
დ. კანდელაკი.
იუსტიციის სახალხო კომისარი:
ი. ვარძიელი.

დროებითი დებულება.

ს. ს. ს. რესპუბლიკის საზღვრებში „რუს დრამატურგთა და საოპერო კომპოზიტორთა საზოგადოების“ და „დრამატურგ მუსიკოსთა კავშირის“ წევრების ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის ჰონორარის შესახებ.

1. ს. ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატი „რუს დრამატურგთა და საოპერო კომპოზიტორთა საზოგადოების“, აგრეთვე „დრამატურგ და მუსიკოსთა კავშირის“ წევრების წარმოებათა საჯარო შესრულებისათვის, საავტორო ჰონორარის გადახდას აწესებს შემდეგი პირობებით: დრამატიულ ნაწარმოების თითეულ მოქმედებაზე 1 პროც.-ს. ოპერის თითეულ მოქმედებაზე 1 ნახ. პროც.-ს საბითუმო შემოსავლიდან თარგმანში (უცხო ენიდან რუსულზე): დრამის თითეულ მოქმედებაზე ნახევარ პროც.-ს, ოპერის თითეულ მოქმედებაზე 1 პროც.-ს საბითუმო შემოსავლიდან.

შენიშვნა 1: უფასო წარმოდგენები საავტორო ჰონორარის გადახდისაგან განთავისუფლებულია.

შენიშვნა 2: დრამატიულ და მუსიკალურ ნაწარმოების მოქმედებათა რიცხვის რაოდენობა განისაზღვრება საზოგადოების და კავშირის წევრების ნაწარმოებთა კოლეგიის მიხედვით.

შენიშვნა 3: პიესა, რომელიც არ იყოფა მოქმედებათ და გრძელდება მთელ საღამოს, საავტორო ჰონორარის გადახდის მხრივ ითვლება—სამ მოქმედებიანათ.

2. წინადადება ეძლევა ს. ს. ს. რ. სახელმწიფო და კერძო თეატრების ადმინისტრაციებს, მიიღონ აღნიშნული დებულება სისწორით და ურყევათ შესრულებისათვის.

3. საავტორო ჰონორარი მიეცემათ საზოგადოების და კავშირის იმ აგენტებს, რომელთაც ექნებათ ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტის ვიზა.

შენიშვნა 1: საზოგადოების და კავშირის აგენტების ჰონორარის აღებაში ანგარიშს აძლევენ როგორც საზოგადოებას და კავშირს, ისე ს. ს. ს. რ. განათლ. სახ. კომისარიატს და მთავარ სახელოვნო კომიტეტს.

შენიშვნა 2. ვიზის მიღებისას აგენტი ვალდებულია წარუდგინოს მთავარ სახელოვნო კომიტეტს საზოგადოების და კავშირის წევრთა სია, აგრეთვე კატალოგი მათ ნაწარმოებთა.

4. დებულება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

განათლების სახალხო კომისარი
დ. კანდელაკი.
მთავარ სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე გრიგოლ რობაქიძე.
საქმეთა მმართველი
ალ. მიქაბერიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება რომ სამშაბათს, 8 აპრილს, საღამოს 6 საათზე განახლდება მეცადინეობა რაიონულ პარტიულ სკოლაში. წინადადება ეძლევა ყველა მსმენელებს გამოცხადდენ მეცადინეობაზე.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: არუსტამოვი.

— 10 მაისს—ამხ. ლემშეინის მოხსენება: „ბელეტრისტული ნაწარმოები ბუნების-მეტყველებაში.

სახლის გამგე: შიუკაშვილი.

6. მაისი, ექსკურსიის დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება „განათლების მუშაკთა“ სახლში.

ორშაბათს 7 მაისს საღამოს 7 საათზე ფიზიკურ-სამათემატიკო ქვესექციაში ნიკოლაძე—პოლიექტოვის მოხსენება: „მათემატიკა პატარეებისათვის“. მოპატიჟებულნი არიან შკოლის-წინასწარ, საბავშო სახლების და პედაგოგიურ ქვესექციების წევრები.

ოთხშაბათს 9 მაისს საღამოს 5 საათზე ჩურსინის მორიგი ლექცია.

საღამოს 7 საათზე ისტორიულ ქვესექციაში ამხ. ამხ. კოზლოვსკის, უიმანცევის მოხსენებები: „აფრიკანულ ზღაპრების შესახებ“.

სახლის გამგე შიუკაშვილი.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
სავალდებულო დადგენილება № 27.

1923 წლის 2 მაისი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფარგლებში იმ საამშენებლო არტელების, კანტორების, მოიჯარადრეების და სხვ. **რეგისტრაციის** შესახებ, რომლებიც საამშენებლო მუშაობას ეწევიან.

1. ყველა იმ საამშენებლო წარმოებების სწორად აღნიშვნის მიზნით, რომლებიც საამშენებლო მუშაობას ახდენენ და აგრეთვე საამშენებლო პროლეტარიატის ბოროტი ექსპლოატაციისათვის ბოლოს მოსაღებად, საქართველოს **სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო** წინადადებას აძლევს ყველა საამშენებლო არტელებს, კერძო ტეხნიკურ-საამშენებლო კანტორებს და მოიჯარადრეებს, რომლებიც საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ფარგლებში საამშენებლო მუშაობას ახდენენ, გამოცხადდენ ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში **რეგისტრაციაში** გასატარებლად **არა უგვიანეს 1923 წლის პირველი ივნისისა.**

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საამშენებლო წარმოებანი, რომლებიც მუშაობას ახდენენ ქ. თბილისში ან მის ახლო ადგილებში, რეგისტრაციაში ტარდებიან ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში, ისინი კი,—რომლებიც მუშაობას ახდენენ რესპუბლიკის სხვა ადგილებში, — სათანადო კომუნალურ განყოფილებებში.

2. რეგისტრაციის დროს საჭიროა წარმოდგენა 2 ცალად: 1) არტელის წესდებისა იმ დაწესებულების ნებართვით, რომლებმაც დაამტკიცეს წესდება, 2) პირადობის მოწმობისა კერძო მეწარმოებლის ან მოიჯარადრისა, 3) არტელის წევრების და გამგეობის წევრების შემადგენლობის სიისა.

3. **საამშენებლო მუშაობის** იჯარით ან იჯარის გარეშე გაცემა საამშენებლო დაწესებულებების მიერ უნდა ხდებოდეს საამშენებლო მუშების კავშირის მონაწილეობით, რისთვისაც ყველა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო, რომლებიც სცემენ საამშენებლო სამუშაოს, ვალდებული არიან წინდაწინვე აცნობონ კავშირს მუშაობის ხასიათის, გაცემის პირობების, შეკიბრების დროის და ადგილის შესახებ.

4. **ეკრძალება** ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს გასცენ საამშენებლო მუშაობა იმ არტელებზე, კანტორებზე, მოიჯარადრეებზე და სხვა, რომლებიც არ გატარებულან რეგისტრაციაში ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში და არა აქვთ სათანადო მოწმობები. იმ დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ახდენენ საამშენებლო მუშაობას და ასეთები უკვე მისცეს კერძო კანტორებს, არტელებსა და მოიჯარადრეებს, მოვალენი არიან ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ცნობები: თბილისში ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებას, პროვინციაში კი—ამ დადგენილების პირველ მუხლთან დართული შენიშვნის მიხედვით,—მუშაობის ადგილის და ხასიათის შესახებ, იმ პირის ან დაწესებულების სახელის აღნიშვნით, რომელსაც მიეცა სამუშაო.

5. ის პირნი და დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ ამ დადგენილებას, დაჯარიმებული იქნებიან 100 მ. ოქროთი, გარდა ამისა კერძო კანტორებსა და მოიჯარადრეებს წაერთმევა მომავალში მუშაობის წარმოების უფლება.

6. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე: **ავალოვი.** ს. მ. უ. ს. მდივანი: **ურულაშვილი.** ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველი: **ხმიმონიშვილი.**

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— ორშაბათს 7 მაისს, საღამოს 7 საათზე, ფიზიკურ სამათემატიკო ქვესექციაში ნიკოლაძე—პოლიექტოვის მოხსენება: „მათემატიკა პატარებისათვის“.

— ოთხშაბათს 9 მაისს, საღამოს 7 საათზე ისტორიულ ქვესექციაში კოზლოვსკის და იუშანცევის მოხსენება: „აფრიკანულ ზღაპრების შესახებ“.

საბავშვო ბაღების ქვესექციაში [illegible] 7 საათზე მოხსენება შემდეგ თემაზე, „ანბანის სწავლება მონტესორის მეთოდებით“. საღამოს 7 საათზე [illegible] გების პირველი ორგანიზაციული კრება.

— ხუთშაბათს 10 მაისს [illegible] ათზე მუსიკისა და სიმღერის ქვესექციაში ამხ. რუდეკო გააკეთებს ნ. მ. ეროშენკოს სიმღერის ამერიკულ მეთოდის სახელმძღვანელოს გარჩევას.

განცხადებები

გაუბედურებული ცოლი ტერეზი, შვილი ქეთო, სიძე აკაკი ხინთიბიძე, ძმა ილია და ქვისლი ბართლომე კილაძე აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებსა და ამხანაგებს, რომ უდროოდ დაკარგულის

მიხეილ ბესარიონის ძე აზალაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე კვირას, 6 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე

კრ. 371 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე დომენტი გიორგის ძე არონიშიძე, დედა ეკატერინე ელიზბარის ასული ჭავჭანიძისა, ძმა მიხეილ გიორგის ძე ჭავჭანიძე და რძალი ევგენია გერასიმეს ასული ჭავჭანიძისა აუწყებენ ნათესავებს, მეგობართ და ნაცნობებს, რომ კვირას, ა. წ. 6 აპრილს, დღის 12 საათზე, გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარის

ზინაიდა გიორგის ასულის
არონიშიძის

სულის მოსახსენებლად ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

სახელმწიფო ოპერა
კრ. 370—1—1

დღეს, 6 მაისს,
თ. და ვ. გველესიანის
ბენეფისი
სილვა
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი
კრ. 357—1—1

დღეს, კვირას 6 მაისს,
გიგო იორდანაშვილის
25 წლის იუბილე
პეპო
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახლი
თავისუფალი ბინით. ვისაც სურს ხელსაყრელ პირობებში შეიძინოს ან გაჰყიდოს, მიმართოს დავითოვის ქუჩ. № 3, ბინა 2. 11—2 ს. და 5—7 საათამდე. გოლოვინის ქუჩის გვერდით.
(618 1—1)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ჯიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—17)

დაჰკარგე კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის წევრის წიგნაკი № 3162 თამარ ფეიქრიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.
(631 1—1)

დაჰკარგე პირადობის მოწმობა ივანე ბოსიტაშვილის სახელზე, № 191 პოლიგრაფიულ განყოფილების მიერ გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.
634 1—1

დაჰკარგე მოწმობა № 30486 და წიგნაკი № 21 ნიკოლოზ [illegible] კონსტანტინე ტერ-გრიგორიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
635 1—1

დაჰკარგე უმუშევარის წიგნაკი, მოცემული შრომის ბირჟიდან ზარმალე ხარაგიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
633 1—1